ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 29 თებერვალი – 1 მარტი, 2020

№50 (8314)

ფასი: 60 თეთრი

ლაშა ქიმბარიშვილი დედის და დის მკვლელობისთვის დააკავეს

საზარელი ტრაგედია ქოპორტში

გვ.5

28 თებერვლიდან

დიმიტრი შველიძე

ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მეგი გოცირიძე: „მამუკა მდინარაძე კუდის აგენტი იყო“

გვ.2

ოპოზიცია ვართ ჩვენ! საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე, რომელმაც ივანიშვილის წინააღმდეგ მივეცით ხმა!

გვ.3

ზაალ უდუმაშვილი: „კუპრავაზე თავდასხმით ივანიშვილმა ოპოზიცია გააფრთხილა, ასე გაგისწორდებითო“



თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილს მორატორიუმს ვერავინ დაუწესებს“

გვ.4

„ხელისუფლება რეპრესიებზეა გადასული“

ლაშა ჩხარტიშვილი თბილისში მაჟორიტარად იყრის კენჭს

გვ.3

„მოლაპარაკებები ჯერ დასრულებული არ არის“

ბორჯომის მერი ლევან ლიპარტია და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილი დააკავეს

გვ.3

დავით ლორთქიფანიძე: „არჩევნები ძველი სისტემით ჩატარდება“

გვ.4

„მერაბიშვილი ოპოზიციას ვერ გააძლიერებს“

ISSN 1987-9385

2 კორონავირუსი იტალიიდან ჩამოსულ 31 წლის ქალსაც აღმოაჩნდა

2 ალექსანდრე ჭიკაიძის საეჭვო გამდიდრება გამოძიებას საჭიროებს

5 „ჩვენ უნდა დავიცვათ თაზოს სახელი, რადგან თავად ცოცხალი აღარ არის“

6 თურქეთი და რუსეთი ომის ზღვარზე დგანან

მეგი გოცირიძე: „მამუკა მდინარაძე კუდის აგენტი იყო“

ოპოზიცია ვართ ჩვენ! საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე, რომელმაც ივანიშვილის წინააღმდეგ მივეცით ხმა!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი **მეგი გოცირიძე** პასუხობს.

– როდესაც მაჟორიტარების თემამ გამოჟონა ერთ-ერთი არხიდან, დიდი ამბავი ატყდა. თავად ოპოზიციაშიც აირია სიტუაციაო. საუბარია, რომ არ მოსწონთ ერთმანეთის კანდიდატები. ოპოზიცია, რომელიც დიდ მაგიდასთან არის შეკრებილი, აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილს მხარს არ დავუჭერთ, რომან გოცირიძეს – კიო. ასევე ეკა ბესელია აღმოჩნდა ბევრისთვის მიუღებელი. რას იტყვით თქვენ?

– უბრალოდ ძალიან მარტივადაა ეს ყველაფერი. მე, როგორ შემიძლია, ეკა ბესელიას მხარი დავუჭირო?! რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ეკა ბესელიამ გაერთიანებულ ოპოზიციას, ნუ გამაგიჟეთ, ხალხო!

– აქვს მას ეს პრეტენზია.

– კი, ბატონო, ყველა იყოს იმ მაგიდასთან, ამას არავინ უკრძალავს და ვერც აუკრძალავს. ძალიან მნიშვნელოვანია ერთობა, ყველასი, განქოცებულის, გაქოცებულის, გასაქოცებელის და ასე შემდეგ. ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ერთის წინააღმდეგ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეკა ბესელია უნდა იყოს მაჟორიტარი, მაშინ როდესაც, მართლა კორიფეები არიან იქეთ მხარეს, ეკა ბესელია იყოს სიაში და მე, მეგი გოცირიძემ, ვიბრძოლო მისი გამარჯვებისთვის?! ეკა ბესელია, ქალი, რომელიც სანდრა რულოვსის ფოტოებს აშეარებდა რუსული სააგენტოდან აღებულს, თითქოს სანდრა ორგანოებს ჭრიდა ხალხს. აი ამ სისხლიან ფოტოებს დებდა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე. აი ამ ადამიანს, ამ ბინძურ ქალს, როგორ შეიძლება, რომ მე, მეგი გოცირიძემ, მხარი დავუჭირო?!

– ანუ მისი კანდიდატურის წინააღმდეგ წახვალთ?

– კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ადამიანს, რომელმაც ტერორისტები ქუჩაში გამოყარა. ჩატაევი გამოუშვა. ცნობილი სეპარატისტები გამოუშვა ციხიდან! თუ ეს ადამიანები უდანაშაულები იყვნენ, მაშინ რატომ არ გადაკვალიფიცირდა საქმეები, სასამართლოებზე რატომ არ გავიდა?! სასამართლომ რატომ არ შეუცვალა მუხლები?! რა უფლება ჰქონდა პარლამენტს, ციხიდან ვინმე გამოეშვა?! ხოლო, როდესაც ვანო მერაბიშვილზე იყო ლაპარაკი, სტარსბურის ცნობილი გადაწყვეტილების შემდგომ, მაშინ ბესელია ამბობდა, პარლამენტი რა შუაშიაო, ჩვენ როგორ უნდა გადავწყვიტოთო. ამერიკას რომ შავ სიაში ყავდა შეყვანილი, ისეთი ცნობილი ტერორისტი გამოუშვეს და ჩატაევი თურმე უდანაშაულო ყოფილა.

– თქვენთვის, ნაცმოძრაობისთვის, მიუღებელია ბესელია, შესაძლოა სხვა ოპოზიციური პარტიისთვის სხვა რომელიმე კანდიდატი იყოს მიუღებელი, ეს რამენად შეიტანს დისონანსს ოპოზიციურ ერთობაში?

– ერთი რამ მინდა დავაფიქსიროთ და ეს უნდა იყოს ამ ინტერვიუში აუცილებლად. მე არ ვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი, არც პოლიტსაბჭოს წევრი ვარ, არც ლიდერი ვარ. მე ვარ უბრალოდ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც გამაჩნია ჩემი პოზიცია, ჩემი დამოკიდებულება და მე ვარ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი. ამ ოპოზიციური პარტიებიდან, ყველაზე მეტი მხარდამჭერი ყავს ნაციონალურ მოძრაობას. რაში მჭირდება მე აირაის და ენდიაის კვლევები. 8 წელია საერთოდ სახლში არ შევსულვარ. არ დარჩენილა ადამიანი, ვისთანაც არ მივსულვარ და არ დავლაპარაკებივარ. ზუსტად ვიცი, ვინ ვისი მხარდამჭერია! „ქართულ ოცნებას“ ვინც დასაქმებული ყავს, მხოლოდ ისინი უჭერენ მხარს. რიგითი მოქალაქეები მათი მხარდამჭერები არ არიან. აი ნახავთ, საარჩევნოდ აქტივისტების პრობლემაც კი შეექმნება „ქართულ ოცნებას“. სულ სიპებში და აიპებში ყავს ის ხალხი, ვისითაც უნდა დააკომპლექტოს საუბნო კომისიები და ესენი არიან ნაღები კრიმინალები, რომლებიც აბსოლუტურად ყველაფერზე არიან წამსვლელები.

– რამდენად იქნება შიგნით მიუღებლობა, დაპირისპირება, თუკი დასახელდა ისეთი კანდიდატები, რომლებიც არ მოსწონს ამა თუ იმ ოპოზიციურ პარტიას?

– მე არ ვიცი, მე შიგნით არ ვარ, არც იმ მაგიდის გარშემო ვიცი რა ხდება.

– თუმცა ხართ ნაციონალური მოძრაობის აქტიურ მხარდამჭერი და აცხადებთ, რომ ეკა ბესელიას გულისთვის არ იბრძოლებთ.

– არავითარ შემთხვევაში, ერთ ნაბიჯსაც არ გადავადგამ! ეს არ არის ბიძინას წინააღმდეგ ბრძოლა. მაჟორიტარებს რაც ეხება, მე თქვენ გეტყვით ერთ რამეს, ჯერ ერთი, მიშას უდიდესი შეცდომა იყო, როდესაც 2002-ში, მე, რა თქმა უნდა, მონაწილე ვიყავი ვარდების რევოლუციის პროცესების, არა რიგითი, არამედ აქტიური, როდესაც გაუქმდა პარტიული სია და დარჩნენ მაჟორიტარები, მე ამის წინააღმდეგი ვიყავი. ის მაჟორიტარები იყვნენ შევარდნაძის ხალხი, მისი კვოტით შემოსული, რომლებმაც, ეგრევე, მომენტალურად, როგორც კი პარლამენტში შევედით, ხელები აწიეს და ხელებაწეულები ჩაგვბარდნენ და იქიდან მოყოლებული, ყველა არჩევნები, რა არჩევნებიც ჩვენ ჩაგვიტარებია, ყველგან, ყველა ეს მაჟორიტარი იყრიდა 5 ნომრით კენჭს.

შეუძლია ვინმეს, მითხრას, რისთვის ზის ოქრუაშვილი ციხეში?! მაკო გომურს დაზარალებულის სტატუსი არ მისცეს და ვანო მერაბიშვილზე ამბობენ ესენი, ორი გვამის მინისტრიო.

როგორც კი ივანიშვილმა აიღო ხელისუფლება, ეს პარლამენტარები ნაციონალური მოძრაობის სიით იყვნენ შესულები, აღარ მინდა ჩამოვთვალო მათი გვარები, ყველამ იცის, ვინც არიან. შევარდნაძის დროს თუ ხელები აწიეს და ისე ჩაგვბარდნენ, ამ შემთხვევაში, ფეხებაწეულები ჩაბარდნენ ივანიშვილს.

– თქვენი მაჟორიტარები მათ მხარეს გადავიდნენ? ამის თქმა გინდათ?

– რა თქმა უნდა! ესენი არიან ჩამოტარებით ხაშლამასავით! ვინც მოვა, იმის მხარეს დადგებიან. მერე ჩვეულებრივად ხარჯავენ ფულს და ყიდულობენ მხარდამჭერებს. ფულის ტომრები არიან. ყველა ტენდერში მონაწილეობენ მათი ოჯახის წევრები, ეს გარანტია მათ მიცემული აქვთ, აკეთებენ უდიდეს ფულს და ამ ფულს ხარჯავენ შემდგომ არჩევნებზე. უბრალოდ, პაატა მხეიძეს მოვკარი თვალი ეკრანზე და მისი წარსული გამახსენდა. მეცოცხე ირმა ინაშვილს რომ ენემეს რეჟიმად გამოცხადების მცდელობა ჰქონდა, აი ამას დაუჭირა მხარი პაატა მხეიძემ. მხეიძე, რომელიც ბევრმა არ იცის ვინ არის და მე ვეტყვი თქვენ მკითხველს, ვინც არის.

– ვინ არის?

– ეს არის ადამიანი, რომელიც მთელი ის 9 წელი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და ეს პაატა მხეიძე იყო ციხეების უფროსი და დღეს პარლამენტიდან ეს ნაძირალა რეჟიმს მე მეძახის და ჩემს გასამართლებას ითხოვს! ციხეების უფროსი იყო და მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ და იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორად. ასევე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლად, აგრეთვე შემოსავლების სამსახურის თბილისის განყოფილების ცენტრის უფროსად! სასაცილოა, მაგრამ რა მაცინებს! აი ეს უბედური იმ „რეჟიმის მსხვერპლი“ ყოფილა თურმე. წარმოუდგენელი ამბავია!

– „ოცნებას“ ბევრი ჰყავს ასეთი?

– ძალიან ბევრი. მამუკა მდინარაძე ვინ იყო? კუდის აგენტი იყო! როდესაც ადვოკატების არჩევნები იყო, მდინარაძეს მთელი იმ დროინდელი კუდი უჭერდა მხარს. სწორედ ისინი ქაჩავდნენ, რომ გაეყვანათ მდინარაძე. ეს ის მდინარაძეა, რომელიც მთელი ის ცხრა წელი ნაციონალურ მოძრაობას ემსახურებოდა. აი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით! ამ მდინარაძეებთან, ამ მედროვე თალაკვაძეებთან ერთად, ბესელიამ დაანგრია და დააქცია ეს ქვეყანა.

ბესელია და კილაძე სწორედ თანამდებობისთვის დაეჯახნენ ერთმანეთს. ეს ორი ერთმანეთზე უარესი. როგორც ჩვენ დროს ბექაურმა და რამიშვილმა, ორმა ნაძირალამ ერთმანეთი რომ გააფუჭა ქრთამის ამბავზე, ამათაც ასე დაემართათ. ივანიშვილს ჰყავს თავის ინფორმატორები და შეიტყო, ბესელია მისგან დამოუკიდებლად დიდ ფულს რომ აკეთებდა. უბრალოდ, ბესელიამ თავის წივილ-კივილებით გადაფარა ეს სკანდალი. ყველა იმ ბინძური ვიდეოების გავრცელებით აჩვენეს, რა დონის ბინძურები და ზნედაცემულები არიან „ოცნებაში“.

– რას იზამს ოპოზიცია მაჟორიტარებთან დაკავშირებით, შეთანხმდებიან?

– იმ მრგვალ მაგიდასთან თუ ოვალურთან, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ძალა ერთობაშია და ყველამ უნდა ვიმუშაოთ საერთო კანდიდატებზეო. თქვენ რა გგონიათ, ოპოზიცია არის მხოლოდ ნიკა მელია, ბაჩუკი ქარდავა და თაკო ჩარკვიანი ან რომან გოცირიძე მარტო?! ოპოზიცია ვართ ჩვენ! საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე, რომელმაც ივანიშვილის წინააღმდეგ მივეცით ხმა!

– სწორედ ამ ოპოზიციური მაგიდის დიდი ნაწილისთვის, ვანო მერაბიშვილი მიუღებელია.

– მართლაც კარგით რა, ვანოა მიუღებელი და ბესელია მისაღები?!

– რადგან ვანო მერაბიშვილი ამ ოპოზიციურ ერთობაში ბევრისთვის მიუღებელია და ეს ღიადაც დააფიქსირეს. ხომ არ მოხდება ისე, რომ ვანო გავა ცალკე და შექმნის ახალ მოძრაობას?

– არა, ეს არ მოხდება. მე ზუსტად ვიცი, ვანო ვინ არის. ეგ არის აბსოლუტურად გამორიცხული, რომ ვანომ რაღაცა ცალკე შექმნას.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კორონავირუსი იტალიიდან ჩამოსულ 31 წლის ქალსაც აღმოაჩნდა

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, მეორე პაციენტი, რომელსაც კორონავირუსი დაუდგინდა, 31 წლის ქალია და ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

– ინფექციური პათოლოგიის ცენტრში სულ იმყოფება 34 პაციენტი, მათგან ერთს ჰქონდა დადასტურებული ახალი კორონავირუსით ინფექცია. დღეს მოვიდა გამოკვლევის შედეგები და კიდევ ერთ პაციენტს ახალი კორონავირუსით ინფექცია დაუდასტურდა.

პირველი პაციენტი დაახლოებით 50 წლის მამაკაცია, რომელიც მოგზაურობდა ირანში და სახმელეთო საზღვრის გადაკვეთისას მას შესთავაზეს ჩვენს კლინიკაში წამოსვლა. რაც შეეხება ახალ პაციენტს, ეს გახლავთ ახალგაზრდა ქალი, 31 წლის, რომელიც ქართველი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად იტალიაში იმყოფებოდა.

რამდენადაც ვიცი, ამ ქალაქში არ არის ეპიდემიის რისკი და არ არის ბევრი ინფიცირებული, მაგრამ იტალიაში მაინც ყველა ადგილი სახიფათო ხდება, მას ახალი კორონავირუსით ინფექცია აღმოაჩნდა. მისი მდგომარეობა ამჟამად კარგია, არანაირი ჩივილი არ აქვს, არც ტემპერატურის მატება, მაგრამ ლაბორატორიულად დადასტურებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვირუსით დაინფიცირებულია.

ხალხში არის წარმოდგენა, რომ კორონავირუსი აუცილებლად სასიკვდილო ვირუსია, სინამდვილეში ის მხოლოდ 1/5 შემთხვევებში მიმდინარეობს მძიმედ, ხოლო 80 პროცენტში საშუალო სიმძიმით, თითქმის უსიმპტომოდ. ამის შესანიშნავი მაგალითია ის, რომ პაციენტები, რომლებსაც ჩვენთან კორონავირუსი დაუდასტურდათ, ორივე შემთხვევაში უსიმპტომო იყვნენ. მხოლოდ ამით რომ ემსჯელათ, ისინი ჩვენთან არ მოხვდებოდნენ, – განმარტა ცერცვაძემ.

მისივე თქმით, სწორედ უსიმპტომო პაციენტები წარმოადგენენ მთავარ საფრთხეს ინფექციის გავრცელებისთვის.

– ის, ვინც სიმპტომურია, მძიმე ავადმყოფია, სახლში ან საავადმყოფოში წევს და ერიდებიან. ამ დაავადებისთვის დამახასიათებელია, რომ შეიძლება მსუბუქად, უსიმპტომოდ დაიწყოს და შემდეგ, ერთი კვირის მანძილზე დამძიმდეს, – განაცხადა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა.

მოგვიანებით დადგინდა, რომ 31 წლის ქალი, რომელსაც ახალი კორონავირუსი აღმოაჩნდა, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალის თანამშრომელია. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ინფორმაცია „საქართველოს ბანკის“ პრესსამსახურში დაუდასტურეს.

– დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ დადასტურებული კორონავირუსის შემთხვევებს შორის ერთ-ერთი, რომელმაც იტალიაში იმოგზაურა, ჩვენი თანამშრომელია. ის საქართველოში 26 თებერვალს ჩამოფრინდა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მასზე მიმდინარეობს მონიტორინგი. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან აქტიური კომუნიკაციით, პროაქტიულ რეჟიმში იდენტიფიცირებულია ყველა ის ადამიანი, ვისთანაც ინფიცირებულს ჰქონდა კონტაქტი. ამ ეტაპზე პრევენციის მიზნით ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი პროცედურები, – განაცხადეს პრესსამსახურში.

ალექსანდრე ჭიკაიძის საეჭვო გამდიდრება გამოძიებას საჭიროებს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს განცხადება

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების აუცილებლობას ხედავს.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ჭიკაიძემ 2017 წლის ბოლოს, საჯარო სამსახურის დატოვების შემდეგ, დიდი რაოდენობით უძრავი ქონება საეჭვო გარემოებებში დააგროვა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მიუთითებს, რომ ყოფილმა მაღალჩინოსანმა და მისმა მეუღლემ 5 უძრავი ქონების შეძენა 2 წელზე ნაკლებ დროში შეძლეს, მაშინ, როცა ჭიკაიძეს თანამდებობის დატოვების მომენტისთვის ბანკის სოლიდური ვალი ჰქონდა და არც დანაზოგი გააჩნდა.

– იმ პირობებში, როდესაც თანამდებობის დატოვების მომენტისთვის ალექსანდრე ჭიკაიძეს არ ჰქონდა დანაზოგი ან თანხა საბანკო ანგარიშზე და ბანკის სოლიდური ვალი გააჩნდა, მან და მისმა მეუღლემ ორ წელზე ნაკლებ დროში შეძლეს 5 უძრავი ქონების – 224.72 კვ.მ. საცხოვრებელი ფართისა და 216.778 კვ.მ. მიწის – საეჭვოდ დაბალ ფასში შეძენა.

ალექსანდრე ჭიკაიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 20 ნოემბრიდან 2015 წლის 23 იანვრამდე ხელმძღვანელობდა; შემდეგ იგი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა, თუმცა საბჭო 2017 წლის ნოემბერში გაუქმდა; 2018 წლის იანვრიდან ჭიკაიძე ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას იკავებს.

ყოფილი თანამდებობის პირის სწრაფი გამდიდრება თავისთავად აღძრავს ეჭვებს ამ პროცესის კანონიერებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სხვადასხვა თანამდებობაზე ყოფნის დროს ალექსანდრე ჭიკაიძე არაკეთილსინდისიერად ავსებდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პერიოდულად იკვლევს ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს, რათა გამოავლინოს უკანონო გამდიდრებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის სავარაუდო შემთხვევები, – ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზაალ უდუმაშვილი: „კუპრავაზე თავდასხმით ივანიშვილმა ოპოზიცია გააფრთხილა, ასე გაგისწორდებითო“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიციის აქტივისტ ზვიად კუპრავას თავს დაესხნენ. აღიქმება თუ არა ეს ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და აქტივისტების მიმართ ანგარიშსწორებად? რა პასუხი აქვს იმაზე, რომ მისი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ხდებოდა მსგავსი ფაქტები და რამდენად თანმიმდევრულია ოპოზიცია თავის ქმედებებში? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ზაალ უდუმაშვილი**.

– როგორ აფასებთ ზვიად კუპრავაზე თავდასხმის ფაქტს, რა ხდება ქვეყანაში და საით მივდივართ?

– გასაგებია ყველაფერი. ის, რაც 27 თებერვალს მოხდა, ზვიად კუპრავაზე თავდასხმას ვგულისხმობ, არის იმ პროცესების გაგრძელება, რომლებიც მიმდინარეობს ოპოზიციის წინააღმდეგ, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ყელში ჰყავს გაჩხერილი ბიძინა ივანიშვილს. გასაგებია, რომ ზვიად კუპრავა არის ერთ-ერთი ძალიან აქტიური და მებრძოლი ადამიანი. ეს იყო გარკვეულწილად მასზე ანგარიშსწორება ყველა იმ აქციისა თუ პერფორმანსისთვის, რომლებიც მან ბოლო პერიოდში გამართა.

ამავე დროს, ეს იყო გაფრთხილება ოპოზიციის სხვა წევრების მიმართაც, რომ აი, ასე გაგისწორდებითო. ეს არის „ქართული ოცნების“ „ტიტუშკების“ გამოვარდნა, რომ თითქოს ფიზიკური ანგარიშსწორებით დააშინებენ ოპოზიციის ლიდერებს, მაგრამ, ჩვენ რომ მაგათი გვეშინოდეს, ქუჩაში არ უნდა გამოვდიოდეთ. რაც ხდება რეალურად, ეს არის „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო სტადია. მათ სხვა გამოსავალი აღარ რჩებათ, გარდა იმისა, რომ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ.

– ანუ თქვენ ცალსახად პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირებთ?

– რა თქმა უნდა. მე ნაკლებად მაქვს იმედი, რომ გამოძიება რამეს დაადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ზვიადმა ისაუბრა, რომ შესაძლებელია ამოიღონ არაერთი კამერის ჩანაწერი, როგორ უთვალთვალებდა მას მანქანა, მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ამას გამოიძიებენ და დამნაშავეებს დაიჭერენ?! ეს ხელისუფლების ჩვეულებრივი ხელწერაა. ბოლო პერიოდში ჩვენ ხომ ვუყურებთ, რომ ძალიან გააქტიურდა ქუჩა.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ „ევროპული საქართველოს“ ოფისთან მივარდნები, მუქარები და ა.შ. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ აქცენტი ახლა უკვე ქუჩაზე გადაიტანა, რათა ამ მეთოდებით იბრძოლოს ამ წინასაარჩევნო პერიოდში.

– ისიც გვახსოვს, რომ უგულავას თავს დაესხნენ, მაგრამ საქმე ისევ უგულავას წინააღმდეგ აღძრეს.

– დიახ, რა თქმა უნდა. თურმე უგულავამ სცემა ქართველი მოჭიდავეების ნახევარ ნაკრებს, ან ხაბეიშვილის ეპიზოდი. ეს კადრები მაინც არ გვენახა, როგორ სცემეს მას, მაგრამ აქეთ დააჯარიმეს ხაბეიშვილი. გასაგებია, რომ ასეთ საქმეებს არასდროს გამოიძიებენ, იმიტომ, რომ თავის თავს ხომ არ დაიჭერს ხელისუფლება და პირადად ივანიშვილი?! ამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. როდესაც ხელისუფლებას უწევს ასეთ ნაბიჯებზე წასვლა, ეს ნიშნავს რომ მისი დღეები დათვლილია.

– კრიმინალი აშკარად მომატებულია ქვეყანაში და არა მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. პერიოდულად ხდება ხოლმე ამის გამოვლინებები, როგორ უსწორდებიან ადამიანებს ქუჩაში. ეს რისი ბრალია და რას უკავშირებთ ამას?

– ეს ხელისუფლების ტაქტიკაა, რომ მოსახლეობაში დანერგოს შიში. ვინც კი ამოიღებს ხმას მათ წინააღმდეგ, მათ ეუბნება, რომ ასე მოგიწევთ, ვიღაცა დაგხვდებათ სადარბაზოსთან, ვიღაც აეროპორტები, მოგივარდებით ოფისებთან, მოგივარდებით სახლებთან და ა.შ. მაგრამ ეს პირიქით ეფექტს იძლევა. როდესაც ხელისუფლების მიმართ არის ასეთი ნეგატიური განწყობა, რომელსაც აფიქსირებს ყველა კვლევა, მხედველობაში მაქვს ის, რომ როდესაც ხელისუფლება ასეთ ქმედებებზე გადადის, ეს ნეგატივი კიდევ და კიდევ იზრდება, ანუ საპირისპიროდ მუშაობს ეს. ხელისუფლებას კი ჰგონია, რომ შეიძლება ვიღაცა დააშინოს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს ძალიან დიდ აგრესიას იწვევს. ეს აგრესია გროვდება და მერე ამოხეთქავს. იმედი მაქვს, რომ ეს ამოხეთქავს არჩევნებზე ბიულეტენების შემოხაზვის თვალსაზრისით და არა მანამდე ქუჩაში.

– „ოცნება“ გახსენებთ ხოლმე 9 წელს. პირადად თქვენ არ იყავით ხელისუფლებაში მაშინ, მაგრამ თქვენი პარტია იყო. მართალია, მუდმივად 9 წლის ძახილი ყველას ყელში ამოგვივიდა, მაგრამ მთლად ალოგიკურიც არ არის, რადგან ფაქტია, რომ ასეთი რამ მაშინაც ხდებოდა.

– ხდებოდა, რა თქმა უნდა, ასეთი გადაცდომები იყო, გვახსოვს ეს ფაქტები, მაგრამ 2012 წელს საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობამ იმისთვის შეცვალა, რომ უკეთესი უნდოდა და ასეთი რაღაცები არ განმეორებულიყო. ხალხს უნდოდა ნორმალური სასამართლო სისტემა, დემოკრატიული საგამოძიებო სისტემა და ა.შ. ყველაფერი კი პირიქით აღმოჩნდა. რაც ცუდი იყო იმ ხელისუფლების დროს, ამათ გააათმაგეს და მშვენივრად გადმოიღეს, რაც კარგი იყო, პირიქით – გააჩერეს. ვუყურებთ, როგორ ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების დანგრევა. შეხედეთ, როგორია პოლიციის მიმართ ნდობა დღეს და როგორი იყო წინა ხელისუფლების დროს.

– მაშინაც საკმაოდ დაბალი იყო ბოლო წლებში.

– ბოლო პერიოდში – კი, მაგრამ პოლიციის რეფორმის დროს ძალიან მაღალი ნდობა ჰქონდა. დღეს შეხედეთ, სად მიჰყავთ? დღეს პოლიცია აქციეს ჩვეულებრივ პოლიტიკურ სტრუქტურად. პოლიციელების მიმართ კი არ მაქვს პრეტენზია, ისინი თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ, მაგრამ მე აქცენტს ვაკეთებ ლიდერებზე, რომლებიც ყურმოჭრილად ასრულებენ ივანიშვილის ყველა დავალებას. ეს ყველაფერი ძალიან მძიმედ მოუტრიალდება ხელისუფლებას.

გვახსოვს, როგორ იცვლებოდა ხელისუფლებები ამ ქვეყანაში და სურვილი არ მაქვს, რომ ახლაც რევოლუციური მეთოდებით მოხდეს ეს ყველაფერი. ჩვენ არჩევნების გზით უნდა გავისტუმროთ ეს ხელისუფლება.

იქნება ქუჩის აქციებიც, იქნება გამოსვლებიც და სხვადასხვა აქტივობები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ ქვეყნის მომავალს გადაწყვეტს არჩევნები.

– პოლიციაზე საუბრობდით, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის შესახებ „გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა კვლევა მის შესაძლო კორუფციაზე, რომლის მიხედვითაც თანამდებობიდან წასვლის შემდეგ 5 ბინა იყიდა. თქვენ რა შეფასებას გააკეთებთ ამაზე?

– ამის შესახებ ყველაფერი მაგიდაზე დევს და ზედმეტი გამოძიებაც არ სჭირდება. მინისტრის ხელფასი საქართველოში ძალიან მაღალი არ არის და ცნობილია, რომ მას მინისტრობის პერიოდში საბანკო ვალები ჰქონდა. მინისტრობიდან გადადგა და უცებ შეიძინა ბინები, მიწები, ვენახები... ეს ციდან ხომ არ ცვივა? ეს ყველაფერი არის მიტაცებული ქონება, რომელზეც ძალიან სერიოზული ეჭვი არსებობს, რომ ეს არის კორუფციის შედეგად შეძენილი ქონება. ჭიკაიძე ხომ არ არის ერთადერთი გამონაკლისი ამ ხელისუფლებაში, ვისზეც ეჭვი არსებობს?! დეკლარაციებს თუ გადავავლებთ თვალს იმ პირების, ვინც ბიძინა ივანიშვილთან არიან დაახლოებულები, ვნახავთ, რამდენად გაიზარდა მათი ქონება მას შემდეგ, რაც ისინი ხელისუფლებაში არიან. ეს ხელფასით ნამდვილად ვერ მოხდება.

ივანიშვილი ხუჭავს ამაზე თვალს, მაგრამ მას გამობმული ჰყავს ასეთი მინისტრები და, როცა დასჭირდება, მაშინ დაიწყებს გამოძიებას. ის ხალხიც მიბმული არიან მორჩილებით მასთან. ასე რომ, ეს არის პარაზიტული სიმბიოზი.

– ისაუბრეთ იმაზე, რა ხდება ქვეყანაში. ამ ფონზე რამდენად თანმიმდევრული ხართ ოპოზიცია. ჯერ ომი არ მოგიგიათ და უკვე ერთმანეთის მიმართ რაღაცა გავლენებისთვის ბრძოლები დაიწყეთ, იმავე მაჟორიტარების საკითხზე. უგულავა დაიჭირეს და აქცია არა სასწრაფოდ დანიშნეთ, არამედ 4 აპრილისთვის გადადეთ. რატომ ხდება ეს?

– ახლა ძალიან რთულ პროცესებში ვართ შესული. შეიძლება, ვიღაცას გაუჩნდეს განცდა, რომ არაფერს ვაკეთებთ, მაგრამ რეალურად ძალიან ბევრ რაღაცას ვგეგმავთ. იმიტომ დავნიშნეთ 4 აპრილს აქცია, რომ 4 აპრილამდე ბევრი რაღაცა გვაქვს გასაკეთებელი ოპოზიციის წარმომადგენლებს.

შეიძლება, ბევრი უყურებს „ლეიბორისტების“ ოფისში გამართულ შეხვედრებს, რომ რა დროს მაჟორიტარების შეხვედრაა, როცა პროპორციული არჩევნებია მოსაგები, მაგრამ, უყურეთ, რაშია საქმე? ჩვენ ვითხოვთ პროპორციულ არჩევნებს, მაგრამ, ხელისუფლება თუ არ წამოვიდა ამ დათმობაზე, არ გვინდა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დავდგეთ ფაქტის წინაშე. ამიტომ პარალელურ რეჟიმში ამასაც ვამუშავებთ, რომ მზად ვიყოთ ამისთვისაც. ეს ერთმანეთს ხელს ნამდვილად არ უშლის.

ჩვენ გავაქტიურდებით სადღაც ერთ კვირაში, გავალთ რეგიონებშიც და გავალთ თბილისშიც, შევხვდებით ხალხს და ვიწყებთ მზადებას. ფაქტობრივად, უკვე წინასაარჩევნო კამპანიაში შევალთ, იმიტომ, რომ მოსახლეობასთან

ყველას გვჭირდება აქტიური შეხვედრები.

რაც შეეხება შიგნით, „ლეიბორისტებში“ გამართულ მოლაპარაკებებს, იქ არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უთანხმოება არ არის და ყველა საკითხზე უპრობლემოდ ვთანხმდებით. დისონანსი გამოიწვია იმან, რომ ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გაჟღერდა ინფორმაცია მაჟორიტარების კანდიდატებზე. მე მინდა გითხრათ, რომ კანდიდატები შეთანხმებული არ არის. პარტიაში ჩვენ რაღაც მოთელვას გავდივართ და რაღაც გვარებს ვასახელებთ, თუ ვინ შეიძლება იყოს ნაციონალური მოძრაობიდან მაჟორიტარობის კანდიდატებად წარმოდგენილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთლიანად ოპოზიციასთან არის შეთანხმებული. შეთანხმება მიღწეული იქნება, მაგრამ ამას გარკვეული პერიოდი სჭირდება, რომ შევაჯეროთ ეს კანდიდატები.

– შეგიძლიათ თქვათ, რომ ოპოზიციაში ეს გაუგებრობა უკვე ამოწურულია?

– კი. შეიძლება ვთქვათ, რომ ამოწურულია. ყველა მიხვდა, რომ ეს არ იყო ოპოზიციის ინიციატივა, რომ ეს ინფორმაცია გაჟღერებულიყო. ბუნებრივია, ყველა პარტია ფიქრობს გარკვეულ კანდიდატებზე, ვიქნებით ჩვენ, „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტები“ თუ სხვები. ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც კანდიდატები შეთანხმებული არიან. ამ შეთანხმებას გარკვეული დრო დასჭირდება და, სავარაუდოდ, მარტში ოპოზიცია მთლიანად ჩამოყალიბდება, ვინ იქნებიან მათი მაჟორიტარობის კანდიდატები. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ის სისტემა დარჩა, რომელიც დღეს არსებობს.

ბორჯომის მერი ლევან ლიპარტია და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილი დააკავეს

28 თებერვალს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ბრალდებით ბორჯომში 3 პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ლიპარტია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილი და ბიზნესმენი გიორგი ულუმბელაშვილი. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით, რაც გულისხმობს საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღებას ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

ლაშა ჩხარტიშვილი თბილისში მაჟორიტარად იყრის კენჭს

„მოლაპარაკებები ჯერ დასრულებული არ არის“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– გია ვოლსკი აცხადებს, რომ პარტიამ, რომელსაც 40%-ზე დაბალი რეიტინგი აქვს, მთავრობა ვერ უნდა დააკომპლექტოს და მან სხვა პარტიასთან უნდა მოძებნოს საერთო. რამდენად მისაღებია ეს შემოთავაზება ოპოზიციისთვის?

– ხელისუფლებას რეალურად თუ სურს ეს ვარიანტი, მაშინ ოფიციალურ დონეზე უნდა მოხდეს მისი გახმოვანება და შეთანხმებაც. თუმცა, შეთანხმების მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია სხვა საკითხებიც: რეპრესიების შეწყვეტა, პოლიტპატიმრების განთავისუფლება და მაჟორიტარების საკითხი.

რეპრესიების შეწყვეტა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, თუ შეატყობენ, რომ ამა თუ იმ მაჟორიტარულ ოლქში არჩევნებს აგებენ, არ არის გამორიცხული, მაჟორიტარობის ოპოზიციონერი კანდიდატი დაიჭირონ. ამაზე ვიღაც შემომედავება, კანდიდატს როგორ დააკავებენო! გიგი უგულავა ხომ მოლაპარაკების მაგიდიდან აიყვანეს?! ამიტომ, არაფერი არ გამიკვირდება მათი მხრიდან, რადგან ყოველგვარ ადეკვატურობას არიან მოკლებულნი. სხვა რა არის თუ არა რეპრესიების გაგრძელება ზვიად კუპრავაზე თავდასხმა, რომელიც პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ აქტიური სამოქალაქო პირია.

ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ ივანიშვილს უნდა ძალაუფლების ერთპიროვნულად მიტაცება, თორემ ჩვენ, ოპოზიცია, ვამბობთ, რომ ძალაუფლებას დავინაწილებთ სწორედ ხალხის მიერ მოცემული მანდატების შესაბამისად. ამიტომ ძაბავს პერმანენტულად სიტუაციას, რომ შემდეგ სიტუაცია გაამძაფროს და ასე სცადოს თავის გადარჩენა, მაგრამ ეს მას არ გამოუვა.

– ლაშა, თქვენი კანდიდატურა თბილისში ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში განიხილება. შეგიძლიათ დამიდასტუროთ ეს ინფორმაცია?

– დიახ, გიდასტურებთ ამ ინფორმაციას. თუმცა, ჯერ მოლაპარაკებები მაჟორიტარ კანდიდატებთან დაკავშირებით დასრულებული არ არის.

– რომელ ოლქში?

– თბილისში, თუმცა, რომელ ოლქში, ამას ჯერ ვერ გეტყვით, რადგან ეს შეთანხმება ახლა მიმდინარეობს ოპოზიციაში.

– რა ეტაპზეა ეს პროცესი?

– შეთანხმება ხდება, მაგრამ ეს დროს მოითხოვს, რადგან საუბარია მთელ ოპოზიციაზე და არა ერთ ან ორ პარტიაზე. რასაკვირველია, ეს არ არის მარტივი პროცესი.

– როგორ ხდება კანდიდატების შერჩევა?

– შემიძლია მხოლოდ საკუთარ თავზე გითხრათ. სააკაშვილის ხელისუფლებამ 2004-2005 წლებში გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის პოსტი შემომთავაზა. მხოლოდ 24 წლის ვიყავი, მაგრამ მე ამ შემოთავაზებაზე უარი ვუთხარი. მეორედ იგივე შემოთავაზება ივანიშვილის ხელისუფლებიდანაც მივიღე, მაგრამ ისევ უარი ვთქვი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე თანამდებობა მინდა არა საკუთარი კარიერისთვის, არამედ ქვეყნისთვის, რომ უფრო უკეთეს ქვეყანაში ვიცხოვრო. ჩემთვის ორივე ხელისუფლება მიუღებელი იყო და ამიტომ ვერ მივიღებდი მათ შემოთავაზებას. ორივე ხელისუფლების უკანონობას ვებრძოდი და ვიცავდი ადამიანის უფლებებს. საერთაშორისო ორგანიზაციამ 2014 წელს წლის უფლებადამცველადაც კი დამასახელა. გარემოს დაცვის და ადამიანის უფლებების სფეროში, მე ყოველთვის აქტიურად ვიბრძოდი და ამის შესახებ კარგად იცის საზოგადოებამ.

ყველა ხელისუფლების პირობებში ვაპროტესტებდი უკანონობას, რომელსაც ვერც ერთი ხელისუფლების პირობებში, ვინც არ უნდა იყოს ის, ვერ შევეგუები.

თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილს მორატორიუმს ვერავინ დაუწესებს“

„ხელისუფლება რეპრესიებზეა გადასული“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატ **თამარ ჩხეიძეს.**

– საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ სამოქალაქო აქტივისტ ზვიად კუპრავას. მას სახეში მომწაპვლელი სითხე შეასხეს და ფეხები ურტყეს. მანამდე კუპრავამ მოაწყო პერფორმანსი „აღორძინებული ეკონომიკა“, სადაც ხალხს ბიძინა ივანიშვილის დაპირებები გაახსენა. თავად კუპრავა ამ თავდასხმას ხელისუფლებას უკავშირებს. შეიძლება, ასეთი პრიმიტიული მეთოდებით ებრძოდე ოპონენტებს?

– ეს შემთხვევა მარტივი შესაფასებელია, იმიტომ, რომ ხელისუფლება რეპრესიებზეა გადასული. ამისათვის გამოიყენება როგორც სასამართლო, ისე პირდაპირი ტერორი ოპონენტების მიმართ. მაგალითად, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ზვიად კუპრავას მიმართ ჩადენილი ქმედება მიზნად ისახავს როგორც პირადად მის განეიტრალებას, ისე დანარჩენების დაშინებას.

– დანარჩენებში ვის გულისხმობთ?

– აბსოლუტურად ყველას, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებს, ოპოზიციასაც და არაპოლიტიკოსებსაც. ოპოზიცია დიდი ხანია, გაერთიანდა.

– რამდენად ინარჩუნებს თავის სახესა და ერთობას ეს ოპოზიციური გაერთიანება?

– ხელისუფლება ცდილობს, ამ ერთობაში ბზარი და უთანხმოება შეიტანოს. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ამ ეტაპზე არ დაშლილა. მას არც ბრძოლა შეუწყვეტია.

– თუმცა, შეწყვიტა მოლაპარაკებები საარჩევნო საკითხებზე.

– საამისოდ ოპოზიციას სერიოზული მიზეზი ჰქონდა – მოლაპარაკებების მონაწილის, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგი უგულავას დაპატიმრება. ესეც რეპრესიების გამოხატულება იყო. ოპოზიციამ ავტომატურად შეწყვიტა მოლაპარაკებები.

– შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლება ცდილობს ხალხის ყურადღების გადატანას. მისი თქმით, ივანიშვილის რეჟიმის შეცვლისკენ ორიენტირებული საზოგადოების ყურადღება მიმართულია სასიკვდილო კორონავირუსისკენ. ის ხელისუფლებას ადანაშაულებს იმაში, რომ მან დროულად არ გადაკეტა მიმოსვლა ირანთან.

– ამ ხელისუფლებას რომ ენდომება მწვავე საკითხებიდან ისრების გადაყვანა სხვა პრობლემებზე, ამაში ეჭვი არ მეპარება. ამ კორონავირუსის გამო კი არაადეკვატური აურზაურია ატეხილი.

– საქართველოში ტრადიციული პანიკის ნიშნებია?

– საქართველოშიც შეინიშნება პანიკა და ზოგადად მსოფლიო მასშტაბითაც. არადა, ამაზე ბევრად მძიმე ინფექციებია გავრცელებული, მათ შორის, სეზონური გრიპები. ეს გრიპები კორონავირუსზე უფრო მძიმედ მიმდინარეობს, გართულებებიც ახლავს და ხანდახან ლეტალური შედეგითაც სრულდება. ეტყობა, საზოგადოებისთვის ეს უცნობი დაავადებაა და შიშს უფრო ეს იწვევს.

– ხელისუფლებას შეიძლება აწყობდეს ყურადღების ფოკუსირება დაავადებაზე, მაგრამ, თუ ინფიცირების სხვა ფაქტებიც გამოვლინდა, ამან შეიძლება ხელისუფლების მიმართ ხალხის ნდობა კიდევ უფრო შეამციროს.

– ამის წინასწარ თქმა ძნელია. ამ ხელისუფლების მიმართ ბევრი უკმაყოფილება დაგროვდა. ჩვენი საზოგადოების რეაქციის განსაზღვრა კი ძნელია. ხშირად, როცა რეაგირება აუცილებელია, საზოგადოება პასიურია. წინასწარ არავინ იცის, რაზე როგორი გამოხმაურება ექნება ხალხს.

– პოლიტიკაში რა შეიცვალა? ბევრი ამბობს, რომ ისევ ორპოლუსიანობაა, ანუ არიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა.

– იქნება თუ არა ორპოლუსიანობა, ანუ ორპარტიულობა, ამის ხელოვნურად გადაწყვეტა შეუძლებელია. წინა წლებში ქვეყნის პოლიტიკაში რაღაც მოვლენები ხელოვნურად განვითარებულა. დღეს გვაქვს ეს მოცემულობა. ოპოზიციურ გაერთიანებაში 30-ზე მეტი პარტიაა. თუ რომელიმე მათგანი სხვებზე ბევრად ძლიერია, ამას ვერ დამალავ. ზოგიერთი პარტიის როლი და შესაძლებლობები სხვებისას აღემატება. ეს ფაქტია.

– ვანო მერაბიშვილიც ბრუნდება პოლიტიკაში.

– მისი როლი მოგვიანებით გამოჩნდება. მასზე ერთი რამის თქმა შეიძლება – მერაბიშვილმა სასჯელი ღირსეულად მოიხადა, არ წავიდა გარიგებაზე და არ მისცა ცრუ ჩვენება სააკაშვილზე.

– სააკაშვილის მიერ შტაბის დაანონსებას ოპოზიციურ ერთობაში ყველა აღფრთოვანებით არ შეხვედრია.

– ყველამ უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია. ეს მერაბიშვილსაც ეხება და სააკაშვილსაც. არავის აქვს უფლება, ვინმეს პოლიტიკაში ყოფნა აუკრძალოს. სააკაშვილის საქმიანობას ერთმნიშვნელოვნად ვერ შეაფასებ – მას ჰქონდა გადაცდომებიც და პოზიტიური საქმეებიც. ჩემი აზრით, დადებითი ჭარბობს. ამიტომ მას მორატორიუმს ვერავინ დაუწესებს. სააკაშვილს აქვს უფლება, იყოს აქტიური და შექმნას საარჩევნო შტაბი.

– „ქართული ოცნება“ სიამაყით აცხადებს, რომ აბინავებს უსახლკაროებს, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს. ის დარწმუნებულია, რომ არჩევნებზე წარმატება ექნება.

– ჯერ სად ვართ! ხალხის მოსყიდვა არჩევნების მოახლოებისას გაძლიერდება. „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ მოსყიდვასაც იყენებს, გაყალბებასაც და დაშინებასაც.

„მერაბიშვილი ოპოზიციას ვერ გააძლიერებს“

დავით ლორთქიფანიძე: „არჩევნები ძველი სისტემით ჩატარდება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე** პასუხობს.

– ბატონო დავით, გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ ევროკავშირის ელჩთან საუბმეზე მიწვეულ ოპოზიციას ხელისუფლებამ 110/40-ზე პროპორციით საარჩევნო სისტემა შესთავაზა, რაზეც ოპოზიცია ისევ უარს ამბობს. ამ შეთავაზებას სხვა ოპოზიციონერები არ ადასტურებენ. თქვენ რა იცით ამის თაობაზე?

– ჩემი გუნდიდან ასეთი შეთავაზებაზე ინფორმაცია არ მაქვს. ასეთი შეთავაზება რომც ყოფილიყო, 110 რატომ არ არის 100-ზე უკეთესი და რატომ არ უნდა დათანხმებულიყვნენ, 77-ს კი სჯობს, მაგრამ ეჭვი მეპარება, ეს შეთავაზება ყოფილიყო.

– თუ „ოცნებას“ 110/40-ზე არ შეუთავაზებია, გიორგი ვაშაძეს რატომ უნდა მოეტყუებინა?

– უნდათ ყოველ წუთს ტელევიზიით ჩანდნენ. ამ განცხადების შემდეგ, ჟურნალისტი მივიდოდა და ჰკითხავდა, თქვენი ნათქვამი ტყუილი იყოო. ვაშაძე გაიცინებს, ირონიულ სახეს მიიღებს და იტყვის, რა ტყუილი, კაცო, შემოგვთავაზეს, მაგრამ შემდეგ ბიძინამ თითი დაუქნია და შეცვალეს. აი, ხომ ხედავთ, როგორი არასერიოზული ხალხია. როგორ შეიძლება მაგათთან სერიოზული ლაპარაკიო. ამ ოპოზიციონერებს ყველაფერი გათვლილი აქვთ, რომ მერე აქეთ შემოგიტიონ.

ხელისუფლების დისკრედიტაციას ახდენენ. უნდათ საზოგადოება დააჯერონ, რომ ხელისუფლება მატყუარაა, გადამგდებია. შეთავაზებულია 100/50-ზე და ამაზე თუ მოხდება შეთანხმება, ამ სისტემით ჩატარდება არჩევნები. გაიძახიან, პოლიტპატიმრები გაათავისუფლეთო, პოლიტიკური ნიშნით არავის იჭერენ. უგულავა დასაჭერი იყო კი არა, მაშინაც არ უნდა გამოეშვათ, როცა გამოუშვეს.

– ოპოზიციას კიდევ აქვს პრეტენზიები, უნდათ ჩაიწეროს კანონში, რომ თუ პარტია 40%-ზე ნაკლებს მიიღებს, მაგრამ პირველ ადგილზე იქნება, მთავრობის ჩამოყალიბების უფლება არ უნდა ჰქონდეს.

– დიახ, ოპოზიციას უნდა, კანონში ჩაიწეროს, რომ პარტიამ, რომელიც 40%-ს მიიღებს, მთავრობა ვერ უნდა დააკომპლექტოს. მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ ამ ქვეყანაში არსებობს კონსტიტუციური კანონი. ყველა კანონს აქვს თავისი მნიშვნელობა. ყველა ცვლილებას თავისი ვადა აქვს და უნდა ჩაეტიოს საკონსტიტუციო ვადებში.

– კომპრომისი თუ არის საჭირო?

– კომპრომისი ორივე მხრიდან არის საჭირო. ის, რისი საშუალებაც არის, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება, რისი გათვალისწინებაც შეიძლება, ყველაფერს გაითვალისწინებს. ყველაფრის საკუთარ თავზე მორგება, ულტიმატუმის ენით საუბარი, მოლაპარაკება უკვე აღარ არის. დღევანდელ ოპოზიციას არ აქვს მხარდამჭერების ის რაოდენობა, რაც მათ მისცემს საშუალებას, ხელისუფლებას ულტიმატუმის ენით ელაპარაკოს.

– მათი მოთხოვნები ულტიმატუმად მიგაჩნიათ?

– მე ამას აღვიქვამ ულტიმატუმად. ულტიმატუმი სხვა რა არის? ამბობენ, თუ არ იქნება ასე, მაშინ ჩვენ ეს არ გვინდა; თუ არ იქნება ისე, მაშინ ჩვენ ის არ გვინდა.

პირობითად, 100 და 110 რომ უკეთესია 77-ზე, ამას მტკიცება არ უნდა. თუ მთელს ოპოზიციურ ერთობას აქვს იმის რესურსი, რომ 77 კი არა, 110 ადგილი აიღოს, შეთავაზებას რატომ არ თანხმდებიან, მაგრამ მათ შანსი არ აქვთ, გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვონ.

ისინი ამბობენ, რომ არსებული საარჩევნო სისტემითაც დაამარცხებენ ხელისუფლებას. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რას ემსახურება ეს ყველაფერი. თუ გარანტირებული აქვთ გამარჯვება, რას ბაქიბუქობენ?

– ხელისუფლება სადამდე დათმობს?

– ხელისუფლება, ბუნებრივია, გონივრულად იმოქმედებს. რაც არის გონიერების ფარგლებში, იმას გააკეთებს, იმოქმედებს იმ ნორმის ფარგლებში, რაც არ გამოიწვევს კანონმდებლობის რღვევასა და მოსახლეობის განწყობების რადიკალურ ცვლილებებს. ულტიმატუმების ენით საუბარი, მით უფრო, როცა მათ ზურგს არ უმაგრებს ამომრჩეველი, მისაღები არ არის. რამდენიმე ასეული ადამიანი თუ შეიკრიბება, ეს არ ნიშნავს 100 ათასობით ადამიანის მათთან დგომას.

– თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიციას ზურგს არ უმაგრებს ამომრჩეველი.

– არ უმაგრებს.

– ოპოზიცია არ გაძლიერდა ვანო მერაბიშვილის ოპოზიციაში დაბრუნებით?

– არა მგონია, რომ მერაბიშვილის გამოჩენით ოპოზიცია გაძლიერდა. ჩვენს მოსახლეობასა და ამომრჩეველზე ძალიან მაღალი შეხედულების ვარ. მას ახსოვს ნაცმოძრაობის 9-წლიანი ბოროტება. მათი ყველა ლიდერი ნაცბოროტების შემოქმედი იყო. ქვედა რგოლები კი მათ დავალებებს უშუალოდ ასრულებდნენ.

ბოროტებაში მოწინავე იყო ვანო მერაბიშვილი, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს. ვისაც კარგად არ ახსოვს, რასაც ნაცრეჟიმი ჩადიოდა 8 წლის წინ, ახალგაზრდა თაობაა, რომელიც მათ გვერდით შეგნებულად არ დგას. ჩვენი ბრალი არის ის, რომ საზოგადოებამ ბოლომდე ვერ ნახა მათი სახე.

– ყველაზე გამწარებული იბრძვიან ისინი, ვინც 2012 წელს „ოცნებასთან“ იყო კოალიციაში, მაგრამ მერე „ოცნებამ“ გაუშვა. მათგან ზოგმა 1%-ც ვერ მიიღო და თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სწორედ მათი შვილები არიან ჩართული თქვენ წინააღმდეგ აქციებში. რას იტყვით?

– თქვენს კითხვაში არის პასუხიც. პოლიტიკა ისეთი რამ არის, დღეს რომ ნაბიჯს გადადგამ, წლების გამოცდას უნდა გაუძლოს. საზოგადოება ზოგჯერ ჩვენ ამისთვისაც გვსაყვედურობს, ისეთი ადამიანები დაიყენეთ გვერდით, რომლებიც ღირსი არ იყვნენო.

– მახსოვს, 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს საყვედურობდნენ, რესპუბლიკელები გვერდით რატომ დაიყენეთო.

– ამას ვამბობ. მადლობა უფალს, ამ ქვეყანაში იყვნენ და დღესაც მრავლად არიან ღირსეული ადამიანები, რომლებიც, სამწუხაროდ, სათანადოდ დაფასებული და გამოყენებული არ არიან. ამ ხალხს უნდა მოძებნა.

– მარგველაშვილიც ვერ აძლიერებს ოპოზიციას? ეს ის პიროვნებაა, რომელიც ივანიშვილმა გააპრეზიდენტა, ამომრჩეველს უთხრა, თუ ჩემს კანდიდატს არ აირჩევთ, პოლიტიკიდან წავალო და აირჩიეს. დღეს კი ოპოზიციასთანაა.

– რომ არა „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა, გიორგი მარგველაშვილი, მიუხედავად მისდამი ჩემი ადამიანური დამოკიდებულებისა (ორ ათეულ წელზე მეტია ვიცნობ), საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იყო და მოსახლეობაც მხარს უჭერდა.

– ახლა?

– ახლაც არის ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი გადამწყვეტი და ძალიან მნიშვნელოვანი. მისი როლის დაკნინება თუ თანაგუნდელებისგან მოდის, უმადურობა იქნება, თუ მოწინააღმდეგისაგან მოდის, ელემენტარულად, მისი იმიჯის შელახვისკენ გადადგმული ნაბიჯი.

– ორი დღეა ხელისუფლება და ოპოზიცია არაფორმალურ გარემოში ხვდებიან ერთმანეთს. როგორ ფიქრობთ, შეთანხმდებიან?

– ვფიქრობ, ვერ შეთანხმდებიან და ისევ 77/73-ზე სისტემა დარჩება.

მეგი გოცირიძე: „მამუკა მდინარაძე კუდის აგენტი იყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, წულუკიანის მამა პროკურატურაში დაგვხვდა, ყველას უთხრეს, რომ გამოცდები უნდა ჩააბაროთო. მამამისმა კი უარი განაცხადა, არ ჩააბარა ეს გამოცდა და მერე, ძალიან მალე, ქრთამის აღების ფაქტზე, საკუთარ კაბინეტში დაიჭირეს. აი ამის გამო გაუშვეს სისტემიდან. ისევე, როგორც თაღლით ქუცნაშვილის მამა!

ვანო იქნება იქ, სადაც არის ქართველი საზოგადოება, საქართველოს მოქალაქე ივანიშვილის წინააღმდეგ.

– მაშინ რატომ უჩვენეს ზურგი? აქვს ვანო მერაბიშვილს ის ძალა, რომ სათავისოდ შემოაბრუნოს სიტუაცია?

– ვანო არ აპირებს ამ წუთას გააქტიურებას. ვანო იბრძოლებს, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე და პოლიტპატიმარი. ვანომ მოიხადა ბოლომდე სასჯელი. რაც დააშავა ვანომ, როგორც ესენი აბრალებენ, იმაზე გაცილებით მეტი დააშავა 20 ივნისს, გიორგი გახარიამ! იცის ვინმემ, რაში ედავებიან ვანოს?! ან რატომ იჯდა ციხეში?! ჰკითხეთ ნებისმიერს, ვერ გიპასუხებთ, ერთადერთი, რაც თავში მოუვათ, იქნება გირგვლიანი და ამ დროს გირგვლიანთან ვანო საერთოდ არაფერ შუაში არ არის! ამ დროს კი, ვანოს სახელი უკავშირდება იმ საოცარ ამბავს, რასაც ერქვა პოლიციის რეფორმა. როგორ შეიძლება ადამიანი, რომელმაც დაამარცხა კრიმინალი, შექმნა პატრული, რომლის მიმართაც დიდი მოწიწება გვქონდა. დღეს როდესაც ქურდი, კრიმინალი, პოლიციელი და ყველა გათახსირებული ადამიანი ერთად ატარებენ არჩევნებს, იქ უკვე პოლიციის სახელი შელახულია. დღეს კრიმინალები გვასამართლებენ. შეუძლია ვინმეს, მითხრას, რისთვის ზის ოქრუაშვილი ციხეში?! ესეც ხომ სრულიად წარმოუდგენელი ამბავია. მაკო გომურს დაზარალებულის სტატუსი არ მისცეს და ვანო მერაბიშვილზე ამბობენ ესენი, ორი გვამის მინისტრიო.

– ეს სიტყვები ყოველთვის მერაბიშვილთან ასოცირდება...

– კარგით რაა. თეა წულუკიანი გამოვიდა და ამბობს ვანო მერაბიშვილზე, ტრუპების მინისტრიო. ეგ მეტრუპეო! ამ დროს მამამისს 20 ადამიანი ყავს დახვრეტილი. ჯალათი მამის შვილი. წარმოგიდგენიათ?!

სინამდვილეში კი ყველამ იცის ეს ისტორია, ამბოხების დროს რაც მოხდა. ვანოს უთხრეს, რომ ის ორი რუსი გენერალი მკვდრები არიანო. ჰოდა, ვანომაც უთხრა, ორი გვამი მომიტანეთო. აი ამ ბოღმის გვირგვინმა, წულუკიანმა, ხომ ყველაზე კარგად იცის, იმ ვიდეოში რაზეა საუბარი და მაინც იმას იძახის მეტრუპეო. ვისი შვილია დაავიწყდა?! როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, წულუკიანის მამა პროკურატურაში დაგვხვდა, ყველას უთხრეს, რომ გამოცდები უნდა ჩააბაროთო. მამამისმა კი უარი განაცხადა ამაზე. არ ჩააბარა ეს გამოცდა და მერე, ძალიან მალე, ქრთამის აღების ფაქტზე, საკუთარ კაბინეტში დაიჭირეს. აი ამის გამო გაუშვეს სისტემიდან. ისევე, როგორც თაღლით ქუცნაშვილის მამა! ესენი კი აი ამიტომ გადაეკიდნენ სახელმწიფოს. აი ჯერ მარტო მაგიტომ არ უნდა იყოს ეს მაჟორიტარული სისტემა, რომ ქუცნაშვილები და მისნაირი გარეწრები ვერ მოვიდნენ! სწორედ მისნაირები სჭირდებათ მაჟორიტარებად, რადგან ყველაფერზე წამსვლელები არიან და ყველაფერზე ხელს აწერენ.

საზარელი ტრაგედია ჭოპორტში

ჭოპორტში დააკავეს 41 წლის ლაშა ქიმბარიშვილი, რომელსაც დედის და დის მკვლელობა ედება ბრალად.

დედა, ციცინო, ადგილზე დაიღუპა, ხოლო და, თეა, საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ლაშა ქიმბარიშვილი პოლიციას თავად ჩაბარდა.

საზარელი მკვლელობის მოტივზე ჭოპორტში მცხოვრებლებს საუბარი უჭირთ, ისინი ამბობენ, რომ გასროლის ხმა 08:00 საათზე გაიგეს.

– 41 წლის კაცმა საკუთარი დედა და და სანადირო თოფით მოკლა. ლაშას ცოლი არ ჰყავს, მშრომელი ბიჭია. დედა ადგილზე გარდაიცვალა. ერთადერთი და ჰყავდა, როგორ გაიმეტა?! ანგელოზივით გოგო იყო, – აცხადებს გარდაცვლილების ნათესავი.

კიდევ ერთი მეზობელი ამბობს, რომ მამაკაცი ნასვამი არ ყოფილა.

– აქ ვარო, არსად არ მივდივარო... გვეგონა, თეა მაინც გადარჩებოდა, რადგან პულსი ესინჯებოდა, – აცხადებს მეზობელი.

როგორც მეზობლები აცხადებენ, ოჯახის წევრებს კონფლიქტი ხშირად ჰქონდათ. 41 წლის მამაკაცი სვამდა და ოჯახში კონფლიქტი ამის გამო ხდებოდა.

– ოჯახში სამნი ცხოვრობდნენ. დედა-შვილი თბილისში მუშაობდნენ და საღამოს გვიან მოდიოდნენ. გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის ქმარი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება, – აცხადებს მეზობელი ნათელა თათიკიშვილი.

ლაშა ქიმბარიშვილი დედის და დის მკვლელობისთვის დააკავეს

კვირის პალიტრა ესაუბრა დუშეთის საკრებულოს მაჟორიტარ წევრს ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში მამუკა აფციაურს.

– შეძრული ვარ მომხდარით და ვუსამძიმრებ, პირველ რიგში მთელ სანათესავოს. დეტალები ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. ცნობილია, რომ ლაშა ქიმბარიშვილმა დახოცა დედა – ციცინო და და – თეა. წუხელ, გამთენიისას მოხდა ეს საშინელება, ზუსტად რომელ საათზე, არ ვიცით. ლაშა სოფელში ცხოვრობდა, ცოლ-შვილი არ ჰყავს. პერიოდულად მუშაობდა, რა საქმეც გამოუჩნდებოდა, იმის მიხედვით.

ბოლო დროს არ მინახავს, ფსიქიკური პრობლემა მისთვის ადრე არასდროს შემინიშნავს. ციცინო ძალიან კარგი ქალი იყო, ამ ოჯახის წევრებს შორის არსებულ კონფლიქტზე არასოდეს არაფერი მსმენია.

ახლა ბიძას ვესაუბრე, განადგურებულია და ზედმეტი კითხვის დასმაც ვერ შევძელი. ყველა განიცდის, გამოძიება დაადგენს ალბათ დეტალებს.

თეა 45 წლამდე იქნებოდა, სიცოცხლით სავსე, კარგი გოგო იყო... როგორც მითხრეს, დედა ადგილზე დაიღუპა, დაჭრილი თეა სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს.

როგორც ვიცი, ლაშა სვამდა, მაგრამ კონფლიქტის მიზეზი რა იყო, არ ვიცი. როგორც მითხრეს, იმ ღამით ოჯახში სუფრა არ ყოფილა, – განაცხადა მამუკა აფციაურმა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ზვიად კუპრავა: „მირტყამდნენ კასტეტს და ბოთლი გადამამტვრიეს თავზე“

28 თებერვალს სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი, ზვიად კუპრავა, კლინიკიდან განერეს.

მას ცემის კვალი სახეზე ეტყობა. ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი მომხდარის უკან ხელისუფლების კვალს ხედავს და მისი ცემის დეტალებს იხსენებს.

მისი თქმით, თავის არეში მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული. კუპრავა ამბობს, რომ დაუდგენელმა პირებმა მას ჯერ სახეში გაურკვეველი სითხე შეასხეს, შემდეგ კი გამეტებით სცემეს.

კუპრავას მონაყოლით, 2-მა პირმა დაზიანებები კასტეტით, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მიაყენა.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი იხსენებს, რომ ღამით მას ავტომობილი აედევნა. კუპრავა ამბობს, რომ ის ვახტანგ გომელაურის უკანონო საქმიანობის შესწავლითაა დაკავებული.

– მირტყამდნენ კასტეტს და ბოთლი გადამამტვრიეს თავზე... თავდაპირველად წიწაკის სპრეი შემასხეს და გამთიშეს. ეს იყო დავალება, რომელიც ამ ადამიანებმა შეასრულეს. ეს დაგეგმეს გახარიამ და ივანიშვილმა, – აღნიშნა კუპრავამ.

მისი თქმით, პოლიციას უკვე მისცა ჩვენება და დეტალურად მოუყვა ავტომობილის შესახებ. ის ითხოვს, ამოიღონ სათვალთვალო კამერები.

„ჩვენ უნდა დავიცვათ თაზოს სახელი, რადგან თავად ცოცხალი აღარ არის“

თამაზ გორთამაშვილის ოჯახი კობიაშვილის ახლობლებს მოუწოდებს, მათი შეურაცხყოფა შეწყვიტონ

გუდაურში მოკლული ახალგაზრდა მამაკაცის, თამაზ გორთამაშვილის ოჯახის ადვოკატი ნიკოლოზ წულეისკირი საქმეში ბრალდებულის ოჯახს მოუწოდებს, მათ მიმართ შეურაცხყოფა შეწყვიტონ. როგორც მან ინტერპრესნიუსს განუცხადა, დავა სასამართლოში უნდა გაგრძელდეს და სიმართლე იქ დადგინდეს.

– ეს ყველაფერი იმისკენაა მიმართული, რომ საზოგადოებრივი აზრი შეიქმნას, რომელიც პირდაპირ ჯაჭვურ რეაქციაშია ოჯახთან და აღნიშნულით ზარალდება ოჯახი, მიცვალებულის სახელი. მეც და ოჯახიც სიმართლის დადგენით ვართ დაინტერესებული, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, გვინდა ეს შეურაცხყოფა დამთავრდეს და დავა სასამართლოში გაგრძელდეს. სიმართლე იქ უნდა დადგინდეს, სადაც საჭიროა, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, საქმეში გარკვეული კითხვის ნიშნები არსებობს, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს.

ნიკოლოზ წულეისკირი აცხადებს, რომ თუ მოკლულის ოჯახის სახელის შეურაცხყოფა არ შეწყდება, ისინი იძულებულები გახდებიან, იმიტირებული სასამართლო მის გარეთ გამართონ.

– კიდევ ერთხელ ვამბობ, მივცეთ საშუალება, ნაფიცი მსაჯულები იქნებიან თუ ბრალდების მხარის წარმომადგენლები, ნორმალურად წარმართონ პროცესები, ზეწოლის გარეშე. ყველაზე მნიშვნელოვანი – ოჯახის წევრები უნდა გათავისუფლდნენ იმ წნეხისგან და საშინელებისგან, რაც ამ პერიოდის განმავლობაში მათ წინააღმდეგ მიმდინარეობს.

ადვოკატის გარდა, ოჯახის ახლობელი ვარ და აბსოლუტურად ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სახელი შევინარჩუნოთ. ისედაც თავისი გასაჭირი აქვთ ოჯახს, გლოვობენ. ვინც კომენტარებს აკეთებს ან ამ თემაზე საუბრობს, მაქსიმალურად პატივი სცეს გარდაცვლილის სულს. სპეციალურად ერთგვარი ჯგუფებია შექმნილი, პოზიტიური კომენტარი დაიდება თუ არა, პირდაპირ ხდება თავდასხმა სოციალურ ქსელში. მოლოდინი მაქვს, რომ სიმართლე გაირკვევა და გამოძიება სწორი მიმართულებით წარიმართება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი გადავა იქ, სადაც საჭიროა.

ყველა კითხვას პასუხი სასამართლოში უნდა გაეცეს და არა – სასამართლოს გარეთ. სხვა შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, სასამართლოს გარეთ მოვაწყოთ იმიტირებული სასამართლო. ასეთ დროს დავზიანდებით არა მარტო ოჯახი, არამედ ბრალდების მხარე. ნებისმიერ შემთხვევაში, ორივე მხარე წაგებული დარჩება, – აღნიშნა ადვოკატმა.

ინტერპრესნიუსთან ასევე ისაუბრა მოკლული თამაზ გორთამაშვილის რძალმა, ნინო გულიაშვილმა.

მისი თქმით, თუ ბრალდებულის მხარის წარმომადგენლები მათი ოჯახის წევრების მიმართ ზეწოლას არ შეწყვეტენ, ისინი იძულებულები იქნებიან, პასუხი გასცენ.

– მგლოვიარეები ვართ და ნამდვილად არ გვაქვს იმის თავი, რომ ვიღაცის წინაშე თავი ვიმართლოთ, მაგრამ ისე წავიდა ყველაფერი, უბრალოდ სხვა გზა არ გვაქვს. ჩვენ უნდა დავიცვათ თაზოს სახელი, რადგან თავად ცოცხალი აღარ არის. იძულებულები გავხდით, რომ გავაკეთოთ ეს განცხადება. პირადად, როგორც ოჯახის წევრმა, მინდა ვთხოვო და მივმართო თუნდაც ბრალდებულის მხარეს, საზოგადოებას, რომელიც კობიაშვილს მხარს უჭერს, ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ნუ ახდენენ მგლოვიარეების, ოჯახის წევრების მიმართ ზეწოლას. თუნდაც სოციალურ ქსელში ჩვენს გვერდებზე შემოვარდნით და ჩვენი შეურაცხყოფით, თაზოს სახელის შეურაცხყოფით.

ძალიან კარგად ვიცით, ვინ იყო ის, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან რთული წასაკითხი და მოსასმენია ოჯახისთვის, მითუმეტეს, დედისთვის, რომელიც შვილს გლოვობს. ჩვენი ერთადერთი თხოვნა იქნება, რომ ყველა დაელოდოს გამოძიებას, დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, ჩვენც ველოდებით და ჩუმად ვართ. ჩვენი სიჩუმით ნუ ისარგებლებენ, რადგან უკვე პასუხის გაცემა მოგვიწევს, სხვა გზა არ გვექნება, –განაცხადა ნინო გულიაშვილმა.

16 თებერვალს გუდაურში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა მერაბ კობიაშვილი დააკავეს.

კობიაშვილს ბრალი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისთვის წაუყენეს. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

72 წლის პ.გ.-მ თურქეთში მცხოვრებ კანონიერ ქურდებს დახმარება სთხოვა

დავის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, კანონიერი ქურდებისთვის მიმართვის ბრალდებით, პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1948 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი პ.გ., კანონიერი ქურდისთვის მიმართვის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მათი ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც ქუთაისში ერთ-ერთი რესტორნის თანამფლობელია, კერძო მეწარმეებთან არსებული ვალების გამო, ბიზნესპარტნიორთან წარმოქმნილი ფინანსური დავის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, თურქეთის რესპუბლიკაში მყოფ ქართველ კანონიერ ქურდებს – ბ.კ.-სა და რ.ძ.-ს მიმართა.

ქურდული გარჩევის შედეგად, კანონიერმა ქურდებმა ფინანსური დავა პ.გ.-ს სასარგებლოდ გადაწყვიტეს. მის ბიზნესპარტნიორს კი რესტორნის ვალის – დაახლოებით, 200.000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პ. გ. ქუთაისში დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და დაკავებულის მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც იგი საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ კანონიერ ქურდებს უკავშირდებოდა.

გამოძიება „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მე-4 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ზუგდიდთან ცოლ-ქმარი დაიღუპა

მანქანა ჯერ ბორდიურს შეეჯახა, შემდეგ ხეს და ჭიშკარს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, ზუგდიდი-ანაკლიის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არის მსხვერპლი. 3 დაღუპულიდან 2 ცოლ-ქმარია.

ავარიის შედეგად დაშავებული 2 პირი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში არის მოთავსებული. დაშავებულთაგან ერთის მდგომარეობა მძიმეა.

სოფელ დარჩელში მერის წარმომადგენელმა დავით ბიგვავამ „ლაივპრესს“ უთხრა, რომ შემთხვევა 27 თებერვალს გვიან ღამით, დაახლოებით 2 საათისთვის მოხდა. ავტომანქანა ჯერ ბორდიურს შეეჯახა, შემდეგ ხეს და ჭიშკარს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ორი ან ორზე მეტი პირის გარდაცვალება გამოიწვია.

სუსმა ყვარლის სატყეოს 2 თანამშრომელი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ყვარლის სატყეო უბნის უფროსი გ.ა. და ამავე სატყეო უბნის სპეციალისტი გ.ფ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა მოქალაქეს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდის 6 თვით საძოვრად გადაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით ფულადი თანხა გამოართვეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 11 წლამდე).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

გარდაბანში მამაკაცს მატარებელი დაეჯახა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურ „ველის“ ტერიტორიაზე უბედური შემთხვევის შედეგად 41 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც ცნობილი გახდა, მამაკაცი „ველის“ ტერიტორიაზე მუშაობდა და მას ლიანდაგებზე გადასვლისას მატარებელი დაეჯახა.

შეჯახების შედეგად, მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 275 მუხლის მე-4 ნაწილით დაიწყო, რაც რკინიგზის ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ᲨᲔᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.
ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

თურქეთი და რუსეთი ომის ზღვარზე დგანან

სირიაში ბრძოლები გრძელდება. იდლიბის პროვინციაში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ასადის მომხრე ფორმირებებმა შეტევა დაიწყეს. რეგიონში მყოფი თურქეთის არმია შეტევაზე გადავიდა. სირიის არმიამ უკან დაიხია.

– იდლიბის პროვინციაში მოვლენები პოზიტიური სცენარით ვითარდება. მე კმაყოფილი ვარ, – განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

ასადი ამას, ბუნებრივია, არ დაეთანხმა. მან დახმარებისათვის რუსეთს მიმართა. მაღე რუსულმა ავიაციამ თურქების პოზიციების დაბომბვა დაიწყო. დაიღუპა 33 თურქი ჯარისკაცი.

თურქეთმა როგორც ასადელებს, ასევე რუსულ თვითმფრინავებს ცეცხლი გაუხსნა. შედეგად ორივე მხარეს არის მსხვერპლი. თურქეთის ხელისუფლებამ მომხდარის გამო პასუხისმგებლობა სირიას დააკისრა.

– ვითარება ასადის მთავრობის გამო დაიძაბა, – განაცხადა ერდოღანმა.

ანკარაში დაიწყო დემონსტრაციები. ხალხი, რომელიც რუსეთის საელჩოსთან შეიკრიბა, სკანდირებდა: პუტინი მკვლელია, ძირს რუსეთი და ა.შ.

თურქეთის მმართველი პარტიის პრეს-ცენტრის უფროსმა განაცხადა, რომ თურქ სამხედროებზე თავდასხმა ნატოზე თავდასხმას ნიშნავს და ნატოს მე-5 მუხლის ამოქმედება მოითხოვა. ამ მუხლის თანახმად, ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ალიანსზე იერიშის მიტანას ნიშნავს და ნატოს წევრმა ქვეყნებმა თავიანთი მოკავშირე ერთიანი ძალით უნდა დაიცვან.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ აშშ თავის მოკავშირე თურქეთს დახმარებას აღმოუჩენს. ამავე დროს, აშშ-ის ელჩმა ნატოში ჰატჩინსონმა განაცხადა:

– დიდი უპასუხისმგებლობა იყო, რომ თურქეთმა რუსების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა შეიძინა! იმედია, თურქები ახლა მაინც მიხვდებიან, თუ რას წარმოადგენს რუსეთი!

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა გამართა.

– შეხვედრის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ თურქეთის ხელისუფლება მიიღებს ყველა საჭირო ზომას რუსეთის საგარეო ინსტიტუციებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თურქეთში, – განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებთან.

მისივე თქმით, პუტინმა და რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რაც აუცილებელი იყო თურქეთის სამხედროების უსაფრთხოებისთვის იდლიბის სადამკვირვებლო პუნქტებში.

28 თებერვალს ბრიუსელში ნატოს ელჩების საგანგებო კონსულტაციები გაიმართა.

შეხვედრა თურქეთის მოთხოვნით შედგა.

– ნატო აგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას და გმობს სირიის რეჟიმისა და რუსეთის მიერ განხორციელებულ ქმედებებს იდლიბის რეგიონში.

ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა სხდომის შემდეგ გააკეთა.

– მე მათ მოვუწოდებ, შეწყვიტონ თავდასხმები, პატივი სცენ საერთაშორისო კანონმდებლობას და მხარი დაუჭირონ გაეროს მცდელობებს, მოხდეს სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირება, – აღნიშნა სტოლტენბერგმა.

მისივე თქმით, 28 თებერვლის შეხვედრა ნატოს მიერ თურქეთის მიმართ სოლიდარობის ნიშანია.

– ეს შეხვედრა თურქეთისადმი სოლიდარობის ნათელი ნიშანია. თურქეთი არის ნატოს მოქმედი მოკავშირე და მას უწევს ყველაზე მეტის გადატანა სირიაში არსებული საშინელი კონფლიქტის გამო. ნატო აგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას სხვადასხვა ზომით, მათ შორის საჰაერო თავდაცვით, რომელსაც შეუძლია, ქვეყანა სირიიდან მომდინარე სარაკეტო თავდასხმებისგან დაიცვას, – აღნიშნულია ნატოს გენერალური მდივნის განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპის შტაბმა „ნიუ იორკ ტაიმსს“ სასამართლოში უჩივლა

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბმა გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსს“ სასამართლოში უჩივლა. მიზეზი იყო სტატია, რომელშიც ტრამპს კრემლთან კავშირს სდებდნენ ბრალად.

– ამ სტატიამ გავლენა იქონია 2019 წლის კონგრესის შუალედური არჩევნების შედეგებზე, – ამტკიცებენ ტრამპის ადვოკატები.

ტრამპის შტაბი ასევე ამტკიცებს, რომ სტატია წარმოადგენს ცილისწამებას და ტრამპის კრემლთან კავშირი სინამდვილეს არ შეესაბამება.

ქირურგებს მარჯვენა და მარცხენა აერიათ და პაციენტს სხვა პროთეზი დაუყენეს

ინგლისის ჩეშირის საგრაფოს ქალაქ მაკლსფილდში ქირურგებმა პაციენტ ქალს მარცხენა ფეხში მარჯვენა ფეხისთვის განკუთვნილი მუხლის პროთეზი ჩაუსვეს.

2018 წლის ოქტომბერში ბარბარა ბარნსი მუხლების პროთეზირების ოპერაციაზე გააგზავნეს. ექიმები მარცხენა ფეხის მუხლის მკურნალობას შეუდგნენ, მაგრამ შეცდომით მარჯვენა ფეხისთვის განკუთვნილი იმპლანტი აიღეს. მათი თქმით, მარჯვენა და მარცხენა პროთეზები აერიათ, ვინაიდან ისინი ერთ კოლოფში ეწყო. ექიმების ამ შეცდომის გამო პაციენტს რამდენიმე თვე ტკივილები ტანჯავდა.

– მარცხენა ფეხზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ვიგრძენი, რომ რაღაც ისე ვერ იყო. ძალიან განვიცდიდი, რომ პროცედურა გეგმის მიხედვით არ წარიმართა, თუმცა კვლავაც მარწმუნებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, – აცხადებს 74 წლის ბარნსი. საბოლოოდ ექიმებმა მაინც აღმოაჩინეს საკუთარი შეცდომა. მათ ქალს მაკორექტირებადი ოპერაცია გაუკეთეს და იმპლანტი შეუცვალეს.

– როდესაც მითხრეს, რომ მარცხენა ფეხში მარჯვენა ფეხისთვის განკუთვნილი მუხლის პროთეზი ჩამიდგეს, გაოგნებული დავრჩი, – აღიარა ქალმა, – მსგავსი შეცდომის არანაირი მოლოდინი არ გაქვს, როდესაც სერიოზული ოპერაციისთვის წვები. დღემდე ვერ დამიჯერებია, რომ ასეთი რამ მართლაც მოხდა.

ამ დროისთვის ბარბარა ბარნსი მისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაციის მიღების მოლოდინშია.

პაპის რჩევამ შვილიშვილს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის ვირჯინიის შტატის მცხოვრებმა საკუთარი პაპის რჩევას ყური უგდო და მოულოდნელად ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო.

კეიტლენ რანი პაპასთან სტუმრად იმყოფებოდა ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ მებანში. ერთ დღეს ისინი ერთად მივიდნენ პროდუქტების მაღაზიაში. რანიმ გადაწყვიტა, ჩვეულებისამებრ ერთდოლარიანი მომენტალური ლატარიის ბილეთი შეეძინა, მაგრამ პაპამ დაარწმუნა, 20 დოლარიანი ბილეთი ეყიდა.

მაღაზიიდან დაბრუნების შემდეგ მათ გადაწყვიტეს გათამაშების შედეგები შეემოწმებინათ. აღმოჩნდა, რომ პაპის რჩევამ შვილიშვილს 100 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– ვფიქრობ, რომ მის მიმართ ვალში ვარ და ჩემგან გემრიელი სადილი ეკუთვნის, შესანიშნავი რჩევა იყო, პაპა, – აღნიშნა რანიმ.

ლატარიის გამარჯვებული აპირებს მოგებული თანხა შვილის კოლეჯში სწავლისთვის და სახლის შესაძენად გადადოს.

სერფერმა დიდი თეთრი ზვიგენი დედის გინებით გააგდო



ახალი ზელანდიის ნახევარკუნძულ კორომანდელის პანაუის პლაჟზე სერფერმა დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც მას თავს დაესხა, ღრიალით, დედის გინებითა და თვალში თითის ტაკებით გააგდო.

60 წლის სერფინგის მოყვარული ნიკ მინოგი ნაპირის გასწვრივ დაფით მისრიალებდა და მოულოდნელად იგრძნო, რომ მის სერფს რაღაც დაეჯახა. იმ მომენტისთვის, როდესაც ის მიხვდა, თუ რა ხდებოდა, დიდმა თეთრმა ზვიგენმა მისი სერფის ცხვირს კბილები ჩაასო.

მინოგს გაახსენდა, რომ ზვიგენებს არ უყვართ, როდესაც მათ ცხვირში ან თვალში ურტყამენ. მან ხმამაღლა დედა შეიგინა, შეეცადა, მტაცებლისთვის თვალში დაერტყა, თუმცა ეს მხოლოდ მეორე ცდაზე მოახერხა. ზვიგენმა თვალები დახუჭა, ყბები გახსნა და გაცურა. ზვიგენმა მინოგის ჰიდროკოსტიუმის დაზიანება და ხელზე კბენა მოასწრო, თუმცა ეს დაზიანება სერიოზული არ გამოდგა.

ამის შემდეგ მინოგმა და ნაპირთან უფრო ახლოს მყოფმა გერმანელმა სერფერმა, რომელმაც მისი ყვირილი გაიგონა, სასწრაფოდ დატოვეს ზღვა და ნაპირზე ამოვიდნენ.

ექსპერტებმა მინოგის სერფზე დატოვებული კბილების ნაკვალევი დაათვალიერეს და დაადასტურეს, რომ თავდამსხმელი სწორედ დიდი თეთრი ზვიგენი იყო, რომელიც კაციჭამია ზვიგენის სახელითაც არის ცნობილი.

მრავალშვილიანი დედა მეუღლის თანხმობით შიშველი დამლაგებელი გახდა

ინგლისის კენტის საგრაფოს მკვიდრმა სამი შვილის დედამ გადაწყვიტა, გახსნას ფირმა, რომელიც შიშველი დამლაგებლების მომსახურების სერვისს უზრუნველყოფს.

35 წლის მრავალშვილიანი დედა კლერ ო'კონორი სასტუმროში სამი წელი დამლაგებლად მუშაობდა, შემდეგ შიშველი დამლაგებელი გახდა და საკუთარი კომპანია გახსნა ქალაქ პლიმუთში არსებული მსგავსი ფირმის გავლენით. ქალის თქმით, მან საკუთარი იდეის შესახებ თავის 39 წლის მეუღლეს გაუმხილა და მისგან თანხმობა მიიღო.

– ის წინააღმდეგი არ არის, კარგად იცის ჩემი გიჟური ხასიათი, მაგრამ, ისიც კარგად ესმის, რომ საკუთარ თავს ზედმეტის უფლებას არ მივცემ, – აღნიშნა სამი შვილის დედამ.

ო'კონორი ჯერჯერობით ვებგვერდის შექმნითაა დაკავებული, თუმცა უკვე ახლავეა შესაძლებელი მის გვერდზე ხელმოწერა. ის კლიენტების სახლების თავად დალაგებას გეგმავს და ამ საქმისთვის სხვების დაქირავებასაც აპირებს. დალაგება ტანსაცმლის გარეშე საათი 95 ფუნტი სტერლინგი ეღირება, მხოლოდ შიშველი მკერდით – 85 ფუნტი, ხოლო საცვლების ამარა ან ეროტიკულ კოსტიუმში გამოწყობილი – 75 ფუნტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

უქმეების ეპიცენტრი მადრიდშია

სტატისტიკა, ფსონები

მომავალ უქმეებზე მთელი მსოფლიოს ყურადღება ესპანეთში გასამართ ელ კლასიკოზე იქნება გადატანილი. რეალისა და ბარსელონის ჯახს ყოველთვის მოუთმენლად ელიან. ამ მატჩის დატვირთვასა და მნიშვნელობაზე არ შევჩერდებით.

კიდევ ერთი დერბი და თითქმის საჩემპიონო თამაში უნდა გამართული იტალიაშიც, სადაც ერთმანეთს იუვენტუსი და ინტერი უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ დერბი დე იტალია კორონავირუსმა გადადო.

ინგლისი

29.02 ბრაიტონი-კრ.პალასი	2.16	3.15	3.70
29.02 ნიუკასლი-ბარნლი	2.70	3.00	2.90
29.02 ბორნმუთი-ჩელსი	4.40	3.65	1.83
29.02 ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი	2.70	3.30	2.70
29.02 უოტფორდი-ლივერპული	6.75	4.70	1.45
01.03 ტოტენჰემი-ვულვზი	2.50	3.10	3.10
01.03 ევერტონი-მანჩესტერი	2.65	3.20	2.80

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	27	26	1	0	64-17	79
2.სიტი	27	18	3	6	68-29	57
3.ლესტერი	26	15	4	7	54-27	49
4.ჩელსი	27	13	5	9	45-37	44
5.მანჩესტერი	27	11	8	8	41-29	41
6.ტოტენჰემი	27	11	7	9	44-36	40
7.შეფილდი	27	10	10	7	29-25	40
8.ვულვზი	26	9	11	6	38-32	38
9.არსენალი	27	8	13	6	39-36	37
10.ბარნლი	27	11	4	12	33-39	37
11.ევერტონი	27	10	6	11	36-41	36
12.საუთჰემპტონი	27	10	4	13	34-48	34
13.კრ.პალასი	27	8	9	10	24-32	33
14.ნიუკასლი	27	8	7	12	24-41	31
15.ბრაიტონი	27	6	10	11	32-39	28
16.ბორნმუთი	27	7	5	15	26-43	26
17.ასტონ ვილა	27	7	4	16	34-52	25
18.ვესტ ჰემი	27	6	6	15	32-48	24
19.უოტფორდი	27	5	9	13	24-43	24
20.ნორვიჩი	27	4	6	17	24-51	18

გერმანია

29.02 ჰოფენჰაიმი-ბაიერნი	6.75	5.40	1.40
29.02 დორტმუნდი-ფრაიბურგი	1.23	6.70	12.00
29.02 მაინცი-პადერბორნი	1.88	3.90	3.85
29.02 აუგსბურგი-გლადბახი	3.30	3.65	2.12
29.02 კიოლნი-შალკე	2.28	3.45	3.15
01.03 უნიონი-ვოლფსბურგი	2.75	3.15	2.75
01.03 ლაიფციგი-ლევერკუზენი	1.52	4.60	5.70
01.03 ვერდერი-აინტრახტი	2.55	3.50	2.70

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	23	15	4	4	65-26	49
2.ლაიფციგი	23	14	6	3	61-25	48
3.დორტმუნდი	23	13	6	4	65-32	45
4.გლადბახი	22	13	4	5	43-25	43
5.ლევერკუზენი	23	13	4	6	40-29	43
6.შალკე	23	9	9	5	32-32	36
7.ვოლფსბურგი	23	9	7	7	32-28	34
8.ჰოფენჰაიმი	23	10	4	9	34-36	34
9.ფრაიბურგი	23	9	6	8	31-33	33
10.უნიონი	23	9	2	12	29-36	29
11.აინტრახტი	23	8	4	11	37-37	28
12.აუგსბურგი	23	7	6	10	34-47	27
13.კიოლნი	22	8	2	12	33-42	26
14.ჰერტა	23	7	5	11	27-43	26
15.მაინცი	23	7	1	15	31-52	22
16.ფორტუნა	23	4	5	14	21-48	20
17.ვერდერი	23	4	5	14	25-53	17
18.პადერბორნი	23	4	4	15	29-50	16

ესპანეთი

29.02 ეიბარი-ლევანტე	2.05	3.40	3.75
29.02 ვალენსია-ბეტისი	2.30	3.35	3.20
29.02 ლეგანესი-ალავესი	2.15	3.00	4.00
29.02 გრანადა-სელტა	2.85	3.00	2.75
01.03 სევილია-ოსასუნა	1.50	4.20	7.00
01.03 ბილბაო-ვილიარეალი	2.46	3.25	3.00
01.03 ესპანიოლი-ატლეტიკო	4.20	3.00	2.10
01.03 მალიორკა-ხეტაფე	3.60	2.90	2.34
01.03 რეალი-ბარსელონა	2.30	3.50	3.05

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	25	17	4	4	62-29	55
2.რეალი	25	15	8	2	46-17	53
3.ატლეტიკო	25	11	10	4	28-18	43
4.სევილია	25	12	7	6	34-25	43
5.ხეტაფე	25	12	6	7	36-25	42
6.სოსიედადი	24	12	4	8	42-31	40
7.ვილიარეალი	25	11	5	9	43-35	38
8.ვალენსია	25	10	8	7	35-37	38
9.გრანადა	25	11	3	11	32-31	36
10.ლევანტე	25	10	2	13	31-36	32
11.ბილბაო	25	7	10	8	24-22	31
12.ოსასუნა	25	7	10	8	31-35	31
13.ბეტისი	25	7	9	9	35-40	30
14.ალავესი	25	8	6	11	27-35	30
15.ვალიადოლიდი	25	6	11	8	22-28	29
16.ეიბარი	23	6	6	11	22-32	24
17.სელტა	25	5	9	11	22-34	24
18.მალიორკა	25	6	4	15	26-42	22
19.ლეგანესი	25	4	7	14	18-39	19
20.ესპანიოლი	25	4	7	14	22-44	19

იტალია

29.02 ლაციო-ბოლონია	1.53	4.25	6.25
29.02 ნაპოლი-ტორინო	1.49	4.35	6.75
01.03 ლეჩე-ატალანტა	7.20	5.00	1.41
01.03 კალიარი-რომა	3.70	3.50	2.02
02.03 სამპდორია-ვერონა	2.60	3.20	2.85

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	25	19	3	3	48-24	60
2.ლაციო	25	18	5	2	58-23	59
3.ინტერი	24	16	6	2	49-22	54
4.ატალანტა	24	13	6	5	63-32	45
5.რომა	25	12	6	7	47-32	42
6.მილანი	25	10	6	9	27-32	36
7.ნაპოლი	25	10	6	9	39-35	36
8.ვერონა	24	9	8	7	28-24	35
9.პარმა	24	10	5	9	32-30	35
10.ბოლონია	25	9	7	9	38-40	34
11.კალიარი	24	8	8	8	38-36	32
12.სასუოლო	24	8	5	11	38-39	29
13.ფიორენტინა	25	7	8	10	32-36	29
14.ტორინო	24	8	3	13	27-43	27
15.უდინეზე	25	7	6	12	21-37	27
16.ლეჩე	25	6	7	12	32-49	25
17.სამპდორია	24	6	5	13	25-43	23
18.ჯენოა	26	5	7	14	30-48	22
19.ბრეშა	24	4	4	16	21-44	16
20.სპალი	25	4	3	18	19-44	15

საფრანგეთი

29.02 პსჟ-დიჟონი	1.15	8.75	15.50
29.02 ამიენი-მეცი	2.14	3.05	3.95
29.02 მონპელიე-სტრასბური	2.32	3.00	3.50
29.02 ტულუზა-რენი	3.50	3.35	2.16
29.02 ბრესტი-ანჟე	2.70	3.10	2.80
29.02 მონაკო-რეიმსი	1.74	3.60	5.10
01.03 ნანტი-ლილი	2.95	2.95	2.70
01.03 ბორდო-ნიცა	1.96	3.50	3.95
01.03 ლიონი-სტ.ეტიენი	1.66	3.90	5.25

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	26	22	2	3	71-24	67
2.მარსელი	26	15	7	4	36-25	52
3.რენი	26	13	5	8	31-24	44
4.ლილი	26	13	4	9	33-27	43
5.მონაკო	26	11	6	9	42-41	39
6.სტრასბური	26	11	5	10	32-29	38
7.ლიონი	26	10	7	9	40-26	37
8.რეიმსი	26	9	10	7	24-20	37
9.მონპელიე	26	10	7	9	32-29	37
10.ნიცა	26	10	7	9	38-36	37
11.ნანტი	26	11	4	11	28-28	37
12.ბრესტი	26	8	10	8	34-35	36
13.ბორდო	26	9	8	9	38-32	35
14.ანჟე	26	9	6	11	25-33	33
15.სტ.ეტიენი	26	8	5	13	28-42	29
16.მეცი	26	6	10	10	24-34	28
17.ნიმი	26	7	6	13	26-39	27
18.დიჟონი	26	6	9	11	24-32	26
19.ამიენი	26	4	10	12	29-47	22
20.ტულუზა	26	3	4	19	21-54	13

ექსპერტებმა შერმადინი გამოარჩიეს

2021 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ფანჯარა ფიბას ვებგვერდზე შეაჯამეს. გასაკვირი არ ყოფილა, რომ ექსპერტებმა იგორ ჩურკოვიჩმა, ბრედლი გეინსმა და ჯეფ ტეილორმა ქართველი კალათბურთელების გარჯაც გამოარჩიეს.

საქართველოს ნაკრები იმ 7 გუნდს შორის მოხვდა, რომლებმაც ორივე მატჩში გამარჯვება იზეიმეს. ილიას ზუროსის შეგირდებმა შინ შვეიცარიას 96:88 სძლიეს, სტუმრად კი სენსაციურად მოუგეს სერბეთს – 94:90.

გასულ მატჩებში ქართველთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იბეროსტარ ტენერიფეს ცენტრი გიორგი შერმადინი იყო, რომელსაც საშუალოდ 19.5 ქულა და 12.0 მოხსნა (მთელს ტურნირზე საუკეთესო მაჩვენებელი) მოუგროვდა.

ამიტომაც არ გაგვკვირვებია, რომ სამიდან ორმა ექსპერტმა პირველ ადგილზე შერმადინი დაასახელა.

იგორ ჩურკოვიჩი:

– შერმადინი ერთადერთია, რომელიც ორივე ტურის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. ცხადია, გამორჩეულად ითამაშა თად მაკფადენმაც, რომელმაც სერბეთთან საოცრებები აკეთა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც გიორგის ეკუთვნოდა. შერმადინი შეტევაში ძალიან შედეგიანი იყო, ფარზეც ბევრი იმუშავა და საშუალოდ 12.0 მოხსნა მოუგროვდა. საქართველოს ნაკრებმა ორივე მატჩი ბოლო წამებზე მოიგო, არადა, შერმადინის გარეშე, შესაძლოა, ორივე თამაშში დამარცხებულიყო.

ბრედლი გეინსი:

– პოლონეთის ნაკრებში მოთამაშე ეი ჯეი სლოტერთან ერთად გიორგი შერმადინი უნდა გამოვარჩიო. ქართველმა კალათბურთელმა საწყისი ტურების მატჩებზე დიდი ზეგავლენა იქონია. საქართველო 2 მოგებით ჯგუფში გალიდერდა. დიდი შანსია, შერმადინის გარეშე 1 გამარჯვებაც არ ჰქონოდა. 2 ორმაგი დუბლი, 2 მოგება – ქართველმა ცენტრმა აღიარება დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ევრობასკეტი 2021-ის ერთ-ერთი მასპინძელია და ფინალურ ეტაპზე თამაში გარანტირებული აქვს, თუმცა, მაინც სასიხარულოა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ფანჯრის შემდეგ ჯგუფში პირველ ადგილზე იმყოფება.

ქართველი კალათბურთელები მომდევნო 2 მატჩს მიმდინარე წლის ნოემბერში ჩაატარებენ: 27-ში ფინეთში სტუმრობაა დაგეგმილი, 30-ში კი, ასევე საგარეო შეხვედრაში შვეიცარიას ვეთამაშებით. საკვალიფიკაციო ეტაპს მომავალი წლის თებერვალში საშინაო მატჩებით დავხურავთ – ფინეთსა და სერბეთს დავუხვდებით.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

თამარ ივერი ტელემედიის წინააღმდეგ

ოპერის მომღერალი თამარ ივერი ქართულ ტელემედიას აკრიტიკებს:

– სამწუხაროდ, ტელემედია ათმაგად დრამატიზებას ახდენს ვირუსის „შემობიჯების“ თემის გარშემო და ხალხს ათმაგად ძაბავს. ყველა ინფორმაცია ამ თემით იწყება, ყველა ონლაინსტატია, სოკოებივით მომრავლებული სპეცსიუჟეტები და გადაცემები ამ თემას ეძღვნება.

ეს ყოველივე კი ემსახურება არა იმდენად ხალხის „არიქა და“ ჯანმრთელობის პრევენციას, არამედ მეტ რეიტინგს, მეტ სკანდალს, მეტ პანიკას, რაც სახელმწიფოსაც ეკონომიკური კუთხით ჰაერივით აწყობს.

მაღაზიების, აფთიაქებისა თუ მარკეტების ყოველდღიურად საათებში დაცარიელება და ქვეყანაში ყიდვა-გაყიდვის 30%-დან 99% პროცენტამდე ფერარისებრი „გაზით“ და „წნევით“ აწევა ხომ მათი „ტკბილი ოცნება და სანატრელი ჯეკპოტია.

ასე რომ, ხვალ კიდევ 2 ინფიცირებულ მსხვერპლს წარგვიდგენენ, ზეგ 3-ს და ა.შ. და, როცა „საჭირო გახდება“, ეპიდემიაც მაშინ ჩაცხრება და დამამარცხებელი ვაქცინაც მაშინ „შემოიმპორტდება“.

ერეკლე დეისაძე, გიორგი ცაგარელი და გიორგი გიგაშვილი გაერთიანდნენ

მომღერალი და მწერალი ერეკლე დეისაძე, პიანისტი გიორგი გიგაშვილი და ალტისტი გიორგი ცაგარელი ერთ პროექტში გაერთიანდნენ.

„ალისფერი ანგელოზები“ – ასეთია საღამოს სახელწოდება, რომელიც 29 თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

ეს იქნება მუსიკისა და სიტყვის სინთეზით შექმნილი პროექტი, რომელშიც აღიარებული არტისტები კოლაბორაციით წარმოადგენენ სერგეი პროკოფიევის, არვო პიარტის, დმიტრი შოსტაკოვიჩის, სოსო ბარდანაშვილის, გია ყანჩელისა და ნიკოლოზ რაჭველის ნაწარმოებებს, აგრეთვე, პაულ ცელანის, შექსპირისა და ერეკლე დეისაძის ტექსტებს.

გიორგი გიგაშვილი:

– 29 თებერვალს, 4 წელიწადში ერთხელ რომ დგება, ისეთ განსაკუთრებულ დღეს, მე და გიორგი ცაგარელი შემოგთავაზებთ სოლოკონცერტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში განსაკუთრებულ სტუმარ ერეკლე დეისაძესთან ერთად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი, ნიჭიერი, კეთილი და თბილი ადამიანი

დინარი ხვიჩია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: კვირას, 1 მარტს, ხამისკურის სასაფლაოზე.

თამარ აქვსენტის ასულ მირცხულავას გახსენება

(დამსახურებული პედაგოგი, ორდენოსანი, შრომის გმირი)

ოცდარვა იანვარი მძიმე დღეა ჩემს ცხოვრებაში. ამ დღიდან ხომ ამ ქვეყნიდან ზეციურ სამყაროში გადაინაცვლე, დატოვე დიდი სევდა და მწუხარება.

მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო გაძაღლებულ-გამწარებული სიბერე შეგექმნა. მიუხედავად ყველა წინაპირობისა, უბედნიერესი სიბერე გქონდა – მაქსიმალურად კომფორტული. მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, სრულიად ჯანმრთელი, ენერგიით აღსავსე, მოულოდნელად წახვედი ჩემგან.

ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული ღმერთმა, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

ნათელა მირცხულავა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის (სიკვდილის შემდეგ) კავალერის მერაბ ჯიქიას დედა, ქალბატონი

ნანული მარხულია-ჯიქიასი

გამოსვენება: შაბათს, 29 თებერვალს, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან, 9 აპრილის ქუჩა (ყოფილი ჩიტაძის), საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ.

თამარაშვილის №19-ის მცხოვრებლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება

ნოდარ პავლეს ძე მანჩხავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხი ბ



შვეულად: 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. მე-19 საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. მარმარილოს საბადო კახეთში; 7. იმრე კალმანის ოპერეტა; 9. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 12. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. გურულების, აჭარლების, მესხების მოკლე ჩოხა; 15. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე პროფესიონალი მონადირე ჩრდილო ამერიკაში; 17. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 20. ფრანგული პარფიუმერული ფირმა.

თარაზულად: 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე, წერილობითი შინაარსი; 6. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 10. სამახსოვრო საჩუქარი; 11. საგაზეთო პუბლიკაცია; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული კომპანია; 16. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი, იაპონელი სპორტსმენი; 18. ბროშში ან ბეჭედში ჩასმული ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია ჩუქურთმა ან ორნამენტი; 19. სამეჯლისო ცეკვა; 21. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 22. ფოლადის კარკასი რკინა-ბეტონის კონსტრუქციაში; 23. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. კელნერი; 3. პაპირუსი; 4. ორანჟერეა; 5. ქეიფი; 6. იემენი; 8. გლორია; 11. ტრამვაი; 14. არითმეტიკა; 15. ლესელიძე; 16. ტელევიზია; 17. მარიხი; 19. აზნაური; 21. დიუმა; 22. უნაბი.

თარაზულად: 1. აკაპულკო; 5. ქაჯი; 7. ელგუჯა; 9. კლეპტომანია; 10. მატრონა; 12. ონტარიო; 13. პარხალი; 16. ტრაილერი; 17. მახა; 18. ჰალვა; 20. ახმეტელი; 22. უფიცა; 23. ბადახში; 24. ზედაშე; 25. მარკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჟურფიქსი; 2. თაობა; 3. კვარიათი; 4. ტეხური; 7. კილტი; 9. მძივი; 12. კრაკოვიაკი; 14. პიკაპი; 15. დეგნანი; 17. კოლომბო; 20. ფლორა.

თარაზულად: 5. მუკუზანი; 6. კავსაძე; 8. ქებურია; 10. ვატიკანი; 11. ქსენძი; 13. პრატერი; 16. რიტორიკა; 18. ჰობოი; 19. ეგერი; 21. ალუპკა; 22. ინჟინერი; 23. არაბიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7905

ევრო — 3.0782

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5975

100 რუსული რუბლი — 4.2697

ამინდის პროგნოზი 29 თებერვლისთვის



28 თებერვლიდან

დიმიტრი შველიძე

ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა წამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტ. I

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ჰონ მინ სონს 2 კვირა კარანტინში მოუწევს ყოფნა

კორონავირუსი უკვე მთელს ევროპაშია, მათ შორის ინგლისშიც და უსაფრთხოების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება.

ეს ფეხბურთსაც შეეხო. ტოტენჰემის სამხრეთ-კორეელი ფორვარდი ჰონ მინ სონი სამშობლოში იმყოფება, სადაც ტრავმას მკურნალობს, ჩამოსვლის შემდეგ კი მას ორი კვირის მანძილზე კარანტინში მოუწევს ყოფნა, უსაფრთხოების მიზნით.

ეს ინფორმაცია ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომაც დაადასტურა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 თებერვლისთვის

ვერძი – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. ** კურო** – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. **ტყუპები** – სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. **კირჩხიბი** – ნებისმიერი უსიამოვნება ემოციის გარეშე მიიღეთ. საკმაოდ მშვიდი დღეა. **ლომი** – ნერვულ გადაღლილობას სუფთა ჰაერზე სეირნობა და მეგობრებთან ურთიერთობა მოგიხსნით. ნოსტალგია შემოგიტევთ. **ქალწული** – როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენებს ელოდეთ. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **სასწორი** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **ღრიანკალი** – განმარტოება, მშვიდ გარემოში ფიქრი სასიკეთოდ წაგადგებათ. საღამო განსაკუთრებით კეთილისმყოფელი იქნება. **მშვილდოსანი** – პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზეა დამოკიდებული. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ რეალობას ადეკვატურად შეაფასებთ. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **მერწყული** – სულიერ კმაყოფილებას გრძნობთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **თევზები** – მრავალ თქვენგანს დიდი ხნის ოცნება უსრულდება. შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად.

1 მარტისთვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როგორ არის?

– იცით, მძიმე მდგომარეობაში, მრავლობით მოტეხილობებთან ერთად, ინფარქტიც აქვს!

– შეიძლება, რომ დაველაპარაკო?

– არა, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია! თუ მისთვის რაიმეს თქმა გინდათ, მე მითხარით და გადავცემ!

– ექიმო, ჰკითხეთ, მართვის მოწმობის გამოცდა ჩავაბარე?

●●●

ექიმს მომხიბვლელი გოგონა ეუბნება:

– ექიმო, მეხსიერების პრობლემა მაქვს.

– რაში გამოიხატება?

– ყველაფერი, რაც კი თავს გადამხდება, ხუთი წუთის შემდეგ მავიწყდება.

– ჰოო, ეს სერიოზულია, სერიოზული. გაიხადეთ და ტახტზე დაწექით...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ოთხი შვილი მყავს, ერთი ინჟინერია, მეორე მეცნიერი, მესამე ფილოსოფოსი, მეოთხე ქურდი.

– მერე ქურდ შვილს თავიდან რატომ არ იშორებ?

– არ შემიძლია, ის ერთადერთი შემომტანია ოჯახში, დანარჩენები უმუშევრები არიან.

●●●

სანტექნიკოსმა პროფესორს უნიტაზი გაურემონტა და სამუშაოს დასრულების შემდეგ ეუბნება:

– თქვენზე 100 ლარია გადასახდელი.

– რა ამბავია, პროფესორი ვარ, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და მე არ ვიღებ ნახევარ საათში 100 ლარს!

– მეც რომ პროფესორი ვიყავი, არც მე ვიღებდი ამდენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„არ მეგონა, თუ მის გოლს მოვესწრებოდი“

სოლსკიაერმა ფრედს დასცინა

მანჩესტერ იუნაიტედმა ბელგიური ბრიუგე საკუთარ მოედანზე 5:0 დაამარცხა და ევროპის ლიგის მერვედფინალში გავიდა. შეხვედრაში ორი გოლი ფრედმა გაიტანა, რომლისთვისაც ეს წლევანდელ სეზონში პირველი გოლები იყო.

მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ამ თემაზე იხუმრა კიდეც:

– არ მეგონა, თუ ფრედის გოლს მოვესწრებოდი. ამ თემაზე ხშირად ვხუმრობდით ხოლმე. მიხარია, რომ მან შეძლო და თავისი უიღბლო სერია შეწყვიტა.

მერვედფინალში მანჩესტერ იუნაიტედის მეტოქე ავსტრიული გუნდი ლასკი იქნება.

ხორდი ალბამ შესაძლოა რეალთან ითამაშოს

ბარსელონას მცველმა ხორდი ალბამ ტრავმა თითქმის ბოლომდე მოიშუშა და ის უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ალბამ ტრავმა ორი კვირის წინ მიიღო და მის მაგივრად ჟუნიორ ფირპო თამაშობდა. ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ არა ალბა რეალის წინააღმდეგ, რადგან შესაძლოა კიკე სეტიენმა არ გარისკოს და ხორდიმ შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე დაიწყოს.

რეალი-ბარსელონას შეხვედრა კვირას, 1 მარტს თბილისის დროით ღამის 12 საათზე დაიწყება.

პსჟ კულიბალიში 100 მილიონს იხდის

ფრანგული პსჟ დაცვაში გაძლიერებას აპირებს და მან უკვე მოძებნა ცენტრალური მცველი კალიდუ კულიბალის სახით, რომელიც ამჟამად ნაპოლის ღირსებას იცავს. კულიბალის ყიდვა პსჟ-ს ადრეც სურდა, მაგრამ ნაპოლიმ მაშინ სენეგალელი მცველი არ გაუშვა. ამჯერად იტალიელებს დათმობა მოუწევთ, რადგან პსჟ 100 მილიონს იხდის, თან კულიბალის სურს პსჟ-ში გადასვლა.

კულიბალი იტალიაში საუკეთესო ცენტრალურ მცველად დაასახელეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კიმ კარდაშიანმა საკუთარი ბრენდის რეკლამაში მონაწილეობა ტანსრულ ქალებთან მიიღო

რეალითი შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილემ და მეწარმემ კიმ კარდაშიან-უესტმა საკუთარი ბრენდის შკიმს-ის ახალი კოლექციის საცვლების რეკლამაში ტანსრული ქალების გარემოცვაში მყოფმა მიიღო მონაწილეობა. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში ფოტოსესიის ავტორის გვერდზე გამოქვეყნდა.

ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ფოტოზე კარდაშიანი კრემისფერი საცვლების კომპლექტში: ბიუსჰალტერსა და მაღალწელიან ტრუსიკში გამოწყობილია აღბეჭდილი. ის თვალებდახუჭული და უკან თავგადაწეული პოზირებს და ამავე დროს 1970 წლის გამოშვება ავტომობილ Lancia Stratos HF Zero-ზეა დაყრდნობილი.

მეორე კადრში ის გადაღებულია უდაბნოში და კრემისფერი გრძელი მინის სხეულზე შემოტმასნილი კაბა აცვია.

მასთან ერთად ფოტოსესიაში მონაწილეობდნენ სხეულის სხვადასხვა აგებულების მქონე ქალები. მათ შორის იყვნენ ტანსრული მანეკენი კირსტენ სინკლერი და მოდელ პლიუს-საიზი სოლანჟ ვან დორნი.

აღნიშნული ფოტოსურათების ავტორი გახდა ჯეკი ნიკერსონი, რომელმაც სახელი აფრიკაში მცხოვრები ხალხებისთვის მიძღვნილი წიგნით გაითქვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე“ ბუკერის პრემიის ნომინანტია

ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკა)“ არაერთი ლიტერატურული პრემიის გამარჯვებულია.

ამჯერად ნინოს წიგნი „მერვე სიცოცხლე (ბრილკა)“ 2020 წლის ბუკერის პრემიის გრძელ სიაში მოხვდა. ბუკერის პრემია ყველაზე პრესტიჟული პრემიაა ინგლისურ ლიტერატურაში.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „მერვე სიცოცხლე (ბრილკა)“ ლიტერატურული პრემიის ნომინანტია. გასულ წელს ნინო ხარატიშვილს შილერის მემორიალური პრიზი გადაეცა, 2018 წელს კი ბერტოლტ ბრეხტის პრემია მიენიჭა.

ბუკერის პრემიის მოკლე სია ცნობილი 2 აპრილს გახდება, 19 მაისს კი ამ პრემიის გამარჯვებული დასახელდება.

გაგა შურღაია იტალიის ეროვნული პრემიის მფლობელი გახდა

იტალიის ეროვნული პრემია მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ქართველ მეცნიერს, ფილოლოგს, მთარგმნელს, ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორ გაგა შურღაიას გადაეცა.

ეს პრესტიჟული პრემია, რომელიც იტალიის კულტურის სამინისტრომ 1989 წელს დააარსა, ყოველწლიურად 8 საუკეთესო იტალიელ და უცხოელ მთარგმნელსა და გამომცემელს გადაეცემა.

გაგა შურღაია ამ პრემიის მფლობელი ქართულ-იტალიური ურთიერთობების გაღრმავებისა და განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი 2



შვეულად: 2. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 5. მატლის, მღრღნელი ჭიების ძველი ქართული სახელწოდება; 6. მგალობელი ჩიტი; 8. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველი ქველმოქმედი, მეცენატი; 15. უდაბნო შუა-აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. ვაჭართა ინტერესების დამცველი გაერთიანება ძველად; 19. ბრიტანული ნამცხვარი; 21. მდინარე რომში; 22. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

თარაზულად: 1. გზაგამტარი ხიდისებრი ნაგებობა; 5. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 7. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 9. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 10. მტრის ზურგში გადასხმული, სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. ტურისტთა მეგზური; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. აეროპორტი ამსტერდამში; 22. გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 24. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 25. ფულის ერთეული ირანში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა